

თავისუფლება

„ხარს ვგეგვარ ნაიალადარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვღვღუნებ.“ (ვაჟა)



თავისუფლება

ტრიბუნა

საქართველოს განთავისუფლებებისათვის მებრძოლთა ორგანო

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA


Journal périodique en langue georgienne

825 / 2
1982

№ 37 PARIS JUIN 1982 ივნისი პარიზი № 37



საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 64 წლისთავზე, ქართული დემოკრატიის ერთი ჯგუფი, უცნობი ჯარისკაცის საფლავზე პარიზის ერუალის თაღებს ქვეშ. წინა პლანზე: ბ.ბ. მიშა გოცირიძე და თამაზ ნასყიდაშვილი მუღმივი ცეცხლის ალს აღვივებენ.



64 წლის თავზე

კვლავ დაგვიდგა სანატრელი ოცდაექვსი მაისი-დღე ჩვენი ეროვნულობის ზეიმისა.

117 წლის განმავლობაში რუსეთის ერთ-ერთ შემადგენელ კუთხედ მყოფმა საქართველომ, როცა ყველას ეგონა, რომ მისი მზე სამუდამოდ ჩაესვენა ჩრდილოეთის ვათოშოლ ტრამალებში, ამ 64 წლის წინად კვლავ შეძლო აღედგინა თავისი სახელმწიფო. ცის კაბადონზე ისევ ამობრწყინდა ცხოველმყოფელი მზე ქართველი ერისა. ქართველი ხალხი ხელახლად გამოვიდა მსოფლიო არენაზე ლადი და სრულუფლებოვანი, სრულუფლებოვანთა შორის.

ჩვენი გულმხურვალება ამ თარიღისადმი მით უფრო ძლიერია, რომ დიდხანს არ ვაგრძელებულა ეს სიმწრით მოპოვებული ბედნიერება, სულ რაღაც სამი წელიც კი არა, და ისევ რუსეთმა, ამჯერად ბოლშევიკურმა, ქურდულად და ვერაგულად მახვილი ჩასცა ახალგაზრდა სახელმწიფოს, უწყალოდ მოსრა მისი დამცველნი, ხელახლად დაიპყრო და დაეპატრონა ზღვა ქართველთა თუ მომხდურთა სისხლით გაპოხიერებულ ჩვენ მშობლიურ მიწა-წყალს, აღუკვეთა ქართველ ხალხს თვითხელმწიფებაცა და თავისუფლებაც.

პოლიტიკური დესპოტია და სულიერ-მატერიალური სიღატაკე დამკვიდრებული დამპყრობელთა მიერ ჩვენ სამშობლოში გრძელდება უკვე 61 წელია. ეს დიდი დროა, მაგრამ ეს ქართველ კაცს გულს ვერ გაუტეხავს, ბრძოლაზე ხელს ვერ ააღებინებს. ქართველი კაცი მუხის კორძსა ჰგავს. მუხის კორძსავით გამძლეა და გაუტეხავი. კომუნისტურ ძნელბედობასაც გაუძლებს, ისევ გამოიწრთობა და გაფოლადდება და, როგორც წარსულში არაერთხელ გამარჯვებული გამოსულა უთანასწორო ბრძოლებიდან, მიმდინარე ბრძოლიდანაც გამარჯვებული გამოვა. ისევ ამობრწყინდება ქართველთა თავისუფლების მზე. ისევ იფრიალებენ ჩვენს მამულში 26 მაისის სამეფოვანი დროშები. ეს ჩვენ ურყევად გვწამს და ეს რწმენა ასაზრდოებს ჩვენს სიცოცხლეს.

მაშ, დღეგრძელობა და გამარჯვება ჩვენ სამშობლო საქართველოს!

შ ი ნ ა ა რ ს ი

დამოუკიდებლობის 64 წლისთავის ზეიმზე, პარიზში, მოხსენება

- 6 მიღწევები და ნაკლოვანებები
- 8 მებრძოლი საქართველოს ორი წამებული
- 10 რუსეთის ბოლშევიზმი და ქართული იდეა
- 14 პრეზიდენტ რეიგანის სიტყვა ბაქტერიოლოგიური ომის საშიშროება
- 15 მოკლედ საერთაშორისო დამაბულობაზე
- 21 დასავლეთის დემოკრატია და რუსეთი
- 24 ძველი ქართული ხელოვნება პარიზში
- 26 პარიზის სათვითგამოშვებო
- 27 გიორგი ყაველაშვილი (ნეკროლოგი)
- 28 სამგლოვიარო განცხადებები და ჩვენი ფონდი

თამაზ ნასყიდაშვილის
გიორგი წერეთელი
თ.ტ.
ალექსანდრე მანველიშვილი

გრიგოლ წერეთელი
პაპუნა ლუბაშვილი
დავით ვაშაძე
თ.ტ.
ეთერი წერეთელი
უახლოესი მეგობარი

„Thavissouplebisse Tribouna“ – Editeur-Redacteur: G.Tsereteli

8,Rue des Marchais. 75019 Paris. Telephone: 607-08-14;

Edition hors commerce



თ ა მ ა ზ ნ ა ს ყ ი და შ ვ ი ლ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა
საქ-ს დამოუკიდებლობის 64 წლისთავის ზეიმზე პარიზში.

კიდევ ერთხელ, 26 მაისის ისტორიულ თარიღს ქართველები აღნიშნავენ სამშობლოს საზღვრებს გარეთ. ჩვენ ეს შეგვიძლია საფრანგეთის კეთილი სტუმართმოყვარეობის წყალობით, რომელიც თავშესაფარს აძლევს ყველა დევნილს და, რომელიც ბევრი ჩვენთაგანისათვის გადაიქცა მეორე სამშობლოდ.

ჩვენ აქ კარგად ვცხოვრობთ, თავისუფლად და სრულიად გათანაბრებული ფრანგებთან. ამ ჩვენმა შედარებით კეთილმა ცხოვრებამ არ უნდა დავგვიწყოთ ჩვენი მოვალეობანი ჩვენი ისტორიული სამშობლოს მიმართ და ჩვენი ეს დღევანდელი ზეიმიც ეკუთვნის ამ მოვალეობებს.

ეს იყო 26 მაისს, 1918 წელში, საერთაშორისო მდგომარეობის განსაკუთრებულად დამაბრტყელ პირობებში, როცა საქართველომ, ამ ერთ-ერთმა უძველესმა ერმა მსოფლიოში, აღიდგინა თვითებლმწიფება, რუსული კოლონიალიზმის 117 წლის ბატონობის შემდეგ.

უნდა გავახსენოთ: ერთი საუკუნის ცოტა მეტი ხნის წინ საქართველო, ნიკიტერ და მამაკ მვეტ ერაკლე მეორის წინამძღოლობით, იძულებული იყო, საუბედუროდ როგორც ხშირად თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, წინ აღსდგომოდა მისი მძლავრი თურქ და სპარს მუზობლების სისხლიან მადს. ქართლ-კახეთის სამეფომ ხელი მოაწერა ერთმორწმუნე რუსეთთან სამხედრო დახმარების ხელშეკრულებას.

მეგობრად და მოკავშირედ მოსული რუსული ჯარები მყარად დაბანაკდნენ და ელოდნენ ხელსაყრელ დროს(მეფე გიორგი მეთორმეტეს სიკვდილს), რათა განეხორციელებიათ მათი ხელისუფლების ბნელი ზრახვები. მეფე კიდევ ცოცხალი იყო, როცა სენ-პეტერბურგის მთავრობამ წერტილი დაუსვა დეკრეტს საქართველოში მეფობის გაუქმებისა და მის რუსეთის იმპერიაში ანექსიისას. მეფე კვდებოდა და 1801 წლის 12 სექტემბერს, რუსეთის ცარმა აღექსანდრემ გამოსცა მანიფესტი, რომლის ძალითაც საქართველოს წართმეული ჰქონდა საკუთარი პოლიტიკის უფლება. და ამრიგად, სახელმწიფო, რომელიც ითვლიდა მრავალ თავს წლის ისტორიის, ჰქონდა მუხანათი პრინციის კალმის ერთი მოსმით, პრინციის, რომელმაც აგრეთვე უმუხთოა ნაბალონს და, რომელმაც ხელი არ შეუშალა საკუთარი მამის, იმპერატორ პავლეს, მკვლელობას.

ქართველებმა ამ მათი უფლებების უხეშ შელახვის შეიარაღებული აჯანყებებით უპასუხეს, რომლებიც არ შეწყვეტილან ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში. ეს აჯანყებები სისხლში იქნენ ჩახრჩობილი და რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში შექმნა რეპრესიის ბარბაროსული სისტემა. სამეფო ოჯახის ყველა წევრის გადასახლება რუსეთის შორეული რაიონებში, მოსახლეობის მასიური ამოხოცვა, ეკლესიის თვითმმართველობის გაუქმება, ძალადობა ქალებზე, ბავშვებზე და მიხუტებულ, ქვეყნის მართვა-გამგეობა გარჯნილი რუსი მოხელეების მიერ, რომლებიც არ იტნობდნენ არც ქვეყანას, არც ხალხს, მხოლოდ რუსული სკოლები, რომლებიდანაც ქართული ენა გაძევებული იყო, რუსული კანონები, რომლებიც სრულიად უცხო იყვნენ ქართველი ხალხის სამართლის ჩვევებთან, ეკლესიები და მონასტრები გაძარცვული მთელი მათი განძეულობისაგან, ასეთია ზოგიერთი მხარე ცარისტული რუსეთის პოლიტიკისა საქართველოში.

საუკუნეების განმავლობაში საქართველო განუწყვეტელ ბრძოლებში იყო აზიის ხალხებთან. ის ხშირად ყოფილა მსხვერპლი შემოსევების, მოსახლეობის ნაწილი გაუღებელი, ქალაქები და სოფლები გადამწვარი და დაწვრილები; საქართველო ხშირად ყოფილა დაპყრობილი, მაგრამ არასოდეს სპარსელებს, არაბებს, მონგოლებს, თურქებს არ უფიქრიათ მოესპოთ მთელი საქართველო. ისინი ითმენდნენ გარკვეულ ავტონომიას, ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს. ისინი პატივს სცემდნენ ქვეყნის ენას, სამეფო დინასტიას, მეფის უფლებებს მათ ქვეშევრდომებზე და ქვეყანაზე. ისინი დევნიდნენ ქრისტიანულ ეკლესიას და ქრისტიანობას, მაგრამ ითმენდნენ ეკლესიის მთავრებს და მათ უფლებებს, ორტოდოქსი რუსეთი კი: ბედდას გააკეთოს ის, რაც მანამდე არცერთ სხვა დამპყრობელს არასოდეს არ გაუბედავს: სპობს საქართველოს სახელმწიფოს და მის უხეანეს გამოხატულებას-მეფობას.

გასუ წელს, ამავე დღესასწაულის დროს, პროფესორი გიორგი შარაშენიძე გვეუბნებოდა: „საქართველოს ყველა მეფეები იყვნენ კარგი მეფეები“-ო. მე ვიზიარებ ამ უხედაურებას. საქამრისა წაიკითხოთ ჩვენი ისტორია. ქართული მონარქია მუდამ იყო პოპულარული და



მეფეები იყვნენ მუდამ დამცველი სუსტებისა. კაცობრიობის ისტორიაში იშვიათად ჩანს მათგან მავალითებს ისეთი დინასტიებისას, რომელთაც მოეცეთ იმდენი მეცნიერები, პოეტები, მწიგნობრები, მღვდლები, მხედართაგერები, სახელმწიფო მოღვაწენი და განსაკუთრებით იმდენი წამებულნი, რამდენიც მისცა ბავარტიონების დინასტიამ, რომელმაც შეუწყვეტლად და შეუთოვლელად იხელმწიფეს თორმეტზე მეტი საუკუნის განმავლობაში, მანამ სანამ რუსეთის ცარმა არ გაძარცვა ისინი და ყველა მისი წვერი გაყინულ რუსეთში არ გადაასახლა.

„გასალობის უკიდურეს პირობებშია“ კი სპარსელებს, არაბებს, მონგოლებს და თურქებს არ გაუბედიათ ასე შორის წასულიყვნენ!“ – ბრძანა თავის ქადაგებაში ჩვენმა მოძღვარმა ილია მელიამ. რუსულმა აღმინსტრაციამ ყველაფერი მისთან ერთი სიტყვით, არაფერს არ სცა პატივი. მისი ერთადერთი მიზანი იყო ყველაფერის გარუხება, რადაც არ უნდა დამჯდარიყო.

ქართვლმა ხალხმა გაუძლო ამ ძალადობას, შემოიკრიბა რა მამაცურად მთელი თავისი ფიზიკური და სულიერი ძალები. გასაოცარია! მიუხედავით იმ თითქმის მხეცური რეპრესიებისა ადგილი ჰქონდა ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის არჩევულებრივ აღორძინებას. მთელი პლედა დიდი პოეტებისა და მწერლებისა დიდი წარმატებით წინ აღუდგა რუს დამპყრობთა ნიპილიზმს, რომელსაც დაუბირისპირა დასავლეთის ლიბერალიზმი, რომელიც კარდად შეეგუა ქართული ტრადიციის ხასიათს.

1918 წლის 26 მაისი ნიშნავს რუსული ბიუროკრატის ბატონობის დასასრულს. ესაა ხელახლად მოპოვებული დამოუკიდებლობა! ესაა აღორძინება! და ესაა ერთი მხნე და მამაცი ერის დაბრუნება ეროვნულ ცხოვრებისადმი, რომელსაც ჩვენ დღეს ვგვიმოთ.

მდელვარე იყო დამოუკიდებლობა, ხშირად დაბრუნებული ვარეშე ძალები მოქმედებით, მაგრამ დამოუკიდებლობა აღმადრთოვანებული, მდიდარი დადებითი და სწამვალითო მავალითებით, მოწონებული მთელი ცივილიზებული ერებისსავან.

ეგემერული დამოუკიდებლობა, საუბედუროდ!

რადგან უკვე მაშინ თანამედროვე იდეოლოგიური ქიშპობა გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა...და გამარჯვება დარჩა მუხანათობასა და ცინიზმს. საქართველოს მტრებმა კვლავადი ქნეს, რათა დაემხრო ახალგაზრდა რესპუბლიკა და ნება მისცეს რუსულ ბოლშევიზმს, მადგახსნილ მეფის რუსეთის იმპერიალიზმის შემკვიდრეს, ძალით ხელახლად დამკვიდრებულყო საქართველოში. სისხლის შემადარწუნებელი შორევით დიწყო გრძელი სერია სულშემხუთავ რეპრესიების, რომელიც დღემდე გრძელდება თავისი ფიზიკური და მორალური საშინელებით. ესეც უნდა მოვიხსენიოთ დღეს ტრადიციული წესით. ეს ჩვენი წმინდა მოვალეობაა! ჩვენ პატერს ვეცემ და ვიცავთ ტრადიციას. არ გკმაყოფილებით მხოლოდ ფოლკლორული ტრადიციებით: კოსტიუმებით, სიმღერებით, ცეკვებით... ეს არაა გამოწვეული ჩვენი ავადყოფური ბუნებით, ან სხვა რამ საეკვო ნოსტალგიით. ეს არაა გამოწვეული სისტემატიური პასივიზით, არამედ სოლიდარობით! ეს სოლიდარობა ჩვენ გვიქმნის მოვალეობებს და ერთი ამ მოვალეობითაგანა ჩვენთვის, რომელსაც იღბალი გვაქვს ცხნოვრბდეთ თავისუფლების ქვეყანაში, ვიყოთ მოწვენი იმათი, ვისაც არა აქვთ ამის შესაძლებლობა.

ჩვენ მატარებელი ვართ ზოგიერთი ეროვნული ღირებულეების და ჩვენი მოვალეობაა მოწმობა. ჩვენი თავისუფლება ჩვენ გვავალდებულებს ამ მოვალეობას. ჩვენ არ ვართ, ყოველშემთხვევაში ჯერ არა, ისეთ ვარემოში სიდაც მეფობს 99.9% ხმით არჩეული პრეზიდენტი, რაც ურყევი ნიშანია „საუთხოო სოციალური წესრიგის“, და ნუთუ ჩვენ უნდა ვდუმდეთ?!

ჩვენ მოწვენი ვართ დანაშაულის და ჩვენ ის არ უნდა გამხილოთ?! ნუთუ უნდა ვდუმდეთ, როცა გხედავთ თუ როგორი წამებითა და შიმშილით აიძულებს ხალხს მორჩილებას პიროვნების კულტიტ შემპრობილი ავტოკრატია? ეს ხალხი, ჩვენი ძმები, წამებულნი მჩაგვრლებისსავან, ჩვენგან მოითხოვენ ვისარგებლით ჩვენი თავისუფლებით. ისინი, ჩვენი თანამემამულენი ვერ გაიგებენ, რომ, შეგვიძლია რა მათთვის ამის ვაკეთება, ჩვენ არ დავემოთ უდიდესი მისტიკაცია: უმცირესობის ძალაუფლება უმრავლესობაზე.

ჩვენ შეგვიძლია მოწმობა ამის შესახებ, ჩვენ ამის შესახებ უნდა ვუმოწმოთ!

მე ვიცი, ჩვენს საზოგადოებაში ერთმანეთის გვერდით არსებობენ განსხვავებული შეგრძნებები, რომელმაც ერთმანეთი უნდა აიტანონ.(მე ვფიქრობ როგორც ჟაკ შირაკი: „რაც აღიერებს შეუგუებლობას ცუდია.“) მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ რაც არ უნდა იყოს ჩვენი გრძნობები და ჩვენი პოლიტიკური ფერი, ჩვენ არსებობს პოლიტიკური ემიგრანტები, პოლიტიკურ-



რი ემიგრანტების შვილები და შვილიშვილები. ჩვენი მისია არის მოწმობა! ზოგადად ურწმუნო ალბათ გვეჭირდება. რას წარმოადგენს ერთი მუჭა მეოცნებე? რაცა ცირკალიტარული საშინაო წინააღმდეგ, ამზობენ ისინი და უმატებენ: ესაა მწერი სპილოს წინააღმდეგო. მე ვიტყვი, რომ უნახავთ, როცა მწერს სპილო გაუგებება და, რომ ისტორია, რომლის მიმართულებაც არ არის ყოველთვის ისე ცხადი როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, გვიჩვენებს, რომ სამართლიანობას მოწყურებულ უმცირესობას შეუძლია იყოს მიზეზი უდიდესი გარდატეხების. ეს გახლავთ რწმენისა და ნებისყოფის საკითხი!

პრელიდები ფრანსუა მიტერანი ამზობდა ცოტა ხნის წინად: „როცა ეკიდურესი არეულობაა, გადაწყვეტილება ეჭუთენის მას ვისაც სწამს და ვისაც სურსო.“

ეს არ არის ოპტიმიზმი ნეტარების. ეს ოპტიმიზმი არაა თეორიული, არც მოჩვენებითი. ის ნასაზრდოება ჩვენი ერის ისტორიით, რომელიცაა ბრძოლის ისტორია. ჩვენმა მხნე, გულგაუტეხელმა ერმა ყოველთვის შეძლო გამკლავებოდა საშინელ განადგურებებს და ყველაზე უმძიმეს დამარცხებების დროსაც ქართველებს იარაღი არ დაუკრიათ. მათ მუდამ დიდი ბრძოლებით კვლავ მოუპოვებიათ თავისუფლება.

სინამდვილეში, მე არ მაინტერესებს თუ რას ფიქრობენ ჩვენი ურწმუნოები. ჩემთვის უფრო საინტერესოა ვიცოდე თუ რას ფიქრობს მოსკოვი. მოსკოვი და მისი ადგილობრივი ყმები საქართველოს სულ სხვაგვარად ფიქრობენ. ამისთვის საკმარისია დაინახო თუ სამოცი წლის შემდეგ რა ენერჯიას ანდომებენ ჩვენს მოსახილავად და ჩვენს დასაშლელად. შეხედეთ რამდენი ხალხია სხვადასხვა დიპლომატიური მისიით მხოლოდ იმ მიზნით რომ ჩვენ ვყავდეთ თვალში, მოსკოვის თვალში. იანგარიშეთ რიცხვი იმ პირების, როლებიც მსახურობენ ორგანიზმებსა და ოფისინებში, რომელთა საქმიანობა მიმართულია მხოლოდ ემიგრაციისაკენ, დათვალეთ პრიორიტული გამოცემების რიცხვი, რომლებიც მხოლოდ ჩვენთვისაა განკუთვნილი, რომლებიც ტრონიბით ქალაღს შეიცავენ და ეს ისეთი ქვეყნისაგან, ამას გაკვრთი ვამზობ, რომელიც განიცდის სწორედ ქალაღდის დიდ ნაკულუობას.

მოიგონეთ აგრეთვე თუ როგორ ყველი კულტურული მანიფესტაციები: ფოლკლორი, თეატრი, სპორტი, რომლებიც სსრკ-დან მოდიან, გამოყენებული არიან ემიგრაციის მოსახილავად. რომ არაფერი ვთქვათ იმ ასობით ადამიანზე, რომელთა მოვალეობაცაა ჩვენა წერილების კითხვა საუტოასლების გაღაღღს და ჩვენი სატელეფონო საუბრების მოსმენა.

მაშ, ბატონო ურწმუნოებო შეწყვიტეთ თქვენი დაცივნა! ჩვენ სერიოზულად გვიჭურებენ და თუ ჩვენ დავგვირდა ჩვენი გრძნობებისა და მორალის გარდა სხვა რაციონალური მოსაზრება, ეს იქნება ერთი მთვანე

გვაქვს რა უპირატესობა თავისუფალ სამყაროში ცხოვრებისა, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მოწმენი. ჩვენ ილბლიანი ვართ, რადგანაც ჩვენ ეს შეგვიძლია.

ჩვენ უნდა ავირჩიოთ ჩვენი პოზიცია. თუ კი ბატონ კლოდ შეისონს, საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრს შეუძლია თქვას: „ჩვენ ვფიქრობთ რომ შეუძლებელია სსრკ-თან სრულიად ნორმალური ურთიერთობის ქონება“-ო. მე ვერ ვხედავ თუ რატომ ჩვენ არ შეგვიძლია გავიმეოროთ იგივე, ჩვენი კულტურული და გრძნობიერი ფესვების უარყოფის გარეშე. ჩვენი თანამემამულეებისათვის ეს იქნება გაუგებელი.

ამ გახსენებაზე, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ უნდა ვმოქმედებდეთ ყოველ დონეზე, ისეთებზედაც, რომლებიც, თითქოს, უმნიშვნელოდ მიგვაჩნია. მაგალითისთვის, ვინაიდან ეს ახალია, საფ. საგარეო ურთიერთობის მინისტრი, ბატონი კლოდ შეისონი პატრიონობს ძველი ქართული ხელოვნების გამოფენას პარიზში, რომელსაც ეწოდება: „ოქროს საწმისის ქვეყანაში, საბჭოთა საქართველოს ძველი ხელოვნება.“ ილაპარაკო „საბჭოთა“ საქართველოს საუნჯეზე, როცა საკითხი ეხება ხელოვნების ნიმუშებს, რომელთა შექმნა საოკუნეებით წინ უსწრებს ბოლშევიზმს და მით უფრო საბჭოთა წესწკობილებას, არის ნამდვილი მასსრობა. მე დიდი პატივისცემა მაქვს ლიბერალური და საპარლამენტო საფრანგეთის, მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით: გაღების ხელოვნების გამოფენას ეწოდება „ლიბერალური და საპარლამენტო საფრანგეთის საუნჯე!“ სასაცილოა! ეს შეიძლება სასაცილო იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ არის შემთხვევითი და ის კარგად გვაჩვენებს, რომ ჩვენ ვერ ვახდენთ საკმარის გაულენას, რათა ავიცილოთ ასეთი უმსგავსეობა.

იგივე გამოფენა უნევაში და ვენაში არ ატარებდა საბჭოთა მარკას, რადგანაც შევეცარიელებმა და აესტრელებმა ეს არ ინდომეს. მაშ, გამოვიჩინოთ სიფხილვე, არ დავუშვათ ასეთი



მისაკუთრება. მაღლობა ღმერთს, არიან ჩვენი მეგობარი ჟურნალისტებიც, რომლებსაც შეუძლიათ ამის გამოაშკარაებინა. ერთმა მათგანმა გამოფენის გახსნის დღეს დაწერა: „არსებობს საბჭოთა კავშირის ელჩი ჩემს გვერდით დაიხარა ვიტრინის დასათვალიერებლად, მე გავიფიქრე რომ შესაძლებელია ამ წუთში ორივეს ერთი და იგივე აზრი დაგვეუფლა: მოძღვარი რომელიც ამ ჯვარს ატარებდა დახვრიტეს, ეკლესია რომელიც ამ ხატს იცავდა დანადმეს და თუ საბჭოელებს შეუძლიათ სახარებების ხილვა მუზეუმებში, მათ არ შეუძლიათ მათი შექმნა მაღალეკლესიაში.“ საჭიროა ვიფიქროთ ყველა ამაზე. უეჭველად, ჩვენ უნდა მივიღოთ სანახავად და დავიკებთ ჩვენი ისტორიული საუნეხის ხილვით. მხოლოდ ჩვენ დამანაშავე ვართ, როცა ვიჩენთ უშიშრობას პროვოკაციის წინაშე. ზემოდ ნახსენები ჟურნალისტი კიდევ ამბობდა: „სასაცილო საზიზღარია როცა სსრკ-ის ელჩი ხსნის რელიგიური ხელოვნების გამოფენას. ორმოცი წლის წინად გერმანიის ელჩს გააჩნდა იმდენი სინდისი, რომ არ ეპარადა გამოფენაში, რომელიც ებრაელების ხელოვნებას წარმოადგენდა. არ არსებობს იმაზე მეტი ცილისწამება, ვიდრე წამებულთა მითვისება მათი უპაატების მიერ.“ აი, დარგი სადაც საჭიროა ჩვენი მოწმობა!

მეორე დონე ჩვენი მოწმობისა: სრულიად შესაძლებელია რეიმონ არონი მართალი იყოს როცა ამბობს, რომ ყველა სოციალური წყობილება ნაკლოვანია და, რომ პოლიტიკა არ არის ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, არამედ არჩევანი საძულველსა და უკეთესს შორის. მართალია, რომ ჩვენი ღირებულებების სისტემა სუსტია და ჩვენი როლი, აქ, მნიშვნელოვანია, რადგანაც არ არსებობს გარდა ერთი ალტერნატივისა, როგორც საერთოდ ყველა საზოგადოებისათვის, ისე ჩვენი საზოგადოებისათვის: თვალყურის ჭერა თავმდაბლად მაგრამ მტკიცედ, რათა დასავლეთის ქვეყნების აქტები შეესაბამებოდნენ იმ ღირებულებებს, რომლებსაც ისინი აცხადებენ.

ჩვენი ადგილია დასავლეთის სამყაროში. ამ მხრით საქართველო წინ უსწრებდა დანარჩენ ევროპას, რადგან მან დაიწყო გაქრისტიანება პირველ საუკუნიდანვე ახალი ერთი და ეს მოხდა მისი საკუთარი ინიციატივით. მას შემდეგ ის განუწყვეტელ წინააღმდეგობაშია აზიის ყველა ხალხთან, მან გადაიტანა მკაცრი და შეუწყვეტელი ბრძოლები რათა დაეცვა საკუთარი ეროვნული სახე. მიუხედავად იმ ძლიერი გავლენისა, რომელსაც მასზე აწარმოებდნენ სპარსეთის და არაბეთის ბრწყინვალე ცივილიზაციები, ქართველ ხალხს მუდამ ჰქონდა შეგნება, რომ ის ეკუთვნოდა დასავლეთის სამყაროს, რასაც მოწმობს მისი ცივილიზაცია. სწორედ ეს ანიჭებს მთელ თავის მნიშვნელობას ჩვენს მოწმობას და ის ამართლებს ისეთ დღესასწაულებს როგორც დღეს გვაქვს. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ და ეს ყოველგვარი ორპოფობის გარეშე, რომ ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა ჩვენი ერის უფლებების დაცვა.

გაუმარჯოს 26 მაისი!
გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

თამაზ ნასყიდაშვილი - საღვრანეთის ქარ. საზოგადოების თავმჯდომარე

*** **

მიღწევები და ნაკლოვანებები

26 მაისი მხოლოდ წარსულის მოგონების დღე კი არ არის, არამედ, აგრეთვე, ჩვენი ძალებისა და საშუალებების დათვალიერებისაც.

ჩვენი საქმე მკიდრო ურთიერთობაშია თავისუფლებისათვის კაცობრიობის ბრძოლასთან. დღეს ინიციატივა თავისუფლების ბანაკის მხარეზეა. გამოუვალ სიძნელეებში გახლართული საბჭოთა ტირანია თავდაცვაზეა გადასული. ამის უტყუარი ნიშანია საბჭოთა პოლიტიკის უმწვერვაო ახლო-აღმოსავლეთის დევნადელ ამბებში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, პოლონეთში და თვით ავღანეთში.

იმედის მომცემა ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილება მტკიცედ წინ აღუდგეს საბჭოთა იმპერიალიზმის ექსპანსიას. თუ ეს გადაწყვეტილება მყარი და ხანგრძლივი დარჩა და თუ მას გვერდში ამოუდგა მთელი დასავლეთის დემოკრატია, მაშინ სასურველი შედეგი არ დაყოვნებს, გამოფიტული საბჭოთა რეჟიმი თვით დაიწყებს რღვევას.

საბჭოთა წყობილების გამოფიტვა დღეს ბრძემისთვისაც კი თვალსაჩინოა. კომუნისტური პარტია მოწყვეტილია საბჭოთა მასებისაგან. პარტიის მცირადა ფრაზეოლოგია ვეღარ ხიბლავს



მათ სულსა და გულს. კომუნისტური პარტიების მსებებისაგან მოწყვეტის დაქტი შესამჩნევად ვარშავის კომუნისტური ბლოკის ყველა ქვეყანაში, მაგრამ იგი განსაკუთრებული სიძლიერით პოლონეთში გამოჩნდა, სადაც საბჭოების მოდელზე შექმნილმა მმართველმა პარტიამ (პოლონეთის კავრთიანებულ მუშათა პარტიამ) სრული კრახი განიცადა და, რომ მთავარი გადაერჩინა, კრემლი იძულებული გახდა სამხედრო დიქტატურისთვის მიემართა. არ არის გამორიცხული, რომ პოლონეთის ეს მაგალითი საბჭოებშიაც განმეორდეს.

საბჭოთა რეჟიმი არა მარტო პოლიტიკურადაა ჩიხში, არამედ აგრეთვე ეკონომიურად. სწორედ ეკონომიკაა საბჭოთა წესწყობილების დამლუპველი აქილევის ქუსლი. საბჭოთა მიწოდება, რაც დროა დროს, სულ უფრო და უფრო ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნილებებს, რაც მთავარია: სასურსათო მოთხოვნილებას (დაქტი, რომ თბილისში კარაქი და შაქარი ტიკეტებით რიგდება, თავისთავად ბევრის მეტყველია). არავისთვის დღეს დამალული აღარ არის, რომ მთელი საჭიროების 30% სურსათ-სანაოვანე საბჭოებს შეაქვეთ ამერობიდან და დასავლეთ ევროპიდან, ქვეყნებიდან, რომელთა მშრომელი მოსახლეობა, საბჭოთა პრობაგანდის მიხედვით, შიმშილით იხოცება. მიუხედავად ამ მასიური შიხიდვისა, საბჭოთა ხელისუფლება უძღურია დააკმაყოფილოს ხალხი აუცილებელი მოთხოვნილების საგნებითა და სურსათით მაინც. განა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? საკაცობრიო ისტორიაში შიმშილი ყოველთვის იყო დამლუპველი რეჟიმებისათვის. მიუხედავად რუსი ხალხის დიდი მომთმენობისა, რუსეთის ისტორიამაც იცის შიმშილით გამოწვეული სტენკა რაზინისა და პუგაჩოვის აჯანყებები.

თუ როდის ამოვარდება დიდ გარდატეხათა ქარიშხალი, ამას აღბათ ვერცერთი მეტეოროლოგი ვერ იწინასწარმეტყველებს, მაგრამ, რომ მან არ უნდა დაავიანოს და, რომ საჭიროა მისთვის მზადება და მზად ყოფნა მის შესახებდრად, ეს ცხადი და ნათელია. ამ მხრით, გვაქვს გამამხნეველები ენშნები, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე ვერ არის. ვილაპარაკოთ ჯერ ემიგრაციაზე. მიუხედავად საბჭოთა პრობაგანდისა და დამინაგრეველი ორგანოების ძლიერი დაწოლისა, ჩვენი ეროვნული ემიგრაცია ღირსეულად დგას თავისი მოწოდების სიმადლებზე; საბჭოთა დამშობილების სირენები მას ხელს ვერ აღებინებს სამშობლოს დაცვის წმინდა მისიაზე. ამის უტყუარი მაჩვენებელია პარიზში გასულ წელს, საქართველოს დაპრობის სამოც წლისთავზე მოწვეული საპროტესტო კრება და პარიზში, წელს დამოუკიდებლობის 64 წლისთავის ზეიმი, სადაც მთელი ემიგრაცია, როგორც ერთი კაცი მხურავად ტაშს უკრავდა ჩვენი თავმჯდომარის ცეცხლოვან მამულშივილურ სიტყვას. დიახ, უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველები ერთგული არიან 26 მაისის საქართველოსი, თუმცა მათ ჯერ კიდევ აკლიათ სითანადო ორგანიზაციული დარაზმულობა. არის ენშნები, რომ ამ ნაკლს ისინი მალე დაძლევენ, რათა უკეთესი დახმარება გაუწიონ სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. ხაზს ვუსვამთ „დახმარება გაუწიონ“-თქვა, რადგანაც სამშობლოს განთავისუფლების ძირითადი მისია და პატივი იქ, ჩვენი მშობლიური მიწა-წყალზე მოხინაძრე ქართველებს ეკუთვნით. ეს იქ, ივერიელთა ისტორიულ მამულში უნდა გაისმას გამანთავისუფლებელი ბრძოლის დადი და ნაღარა, იქ უნდა აფრიოდენ გამანთავისუფლებელი ბრძოლის დროშები.

როგორია ამ მხრით იქ მდგომარეობა? მიუხედავად საბჭოთა რეჟიმის ფარდის უკიდურესი დახმულობისა და მიუხედავად იმ ყალბი ხმებისა, რომელთაც საბჭოთა დაზვერვა სხვადასხვა ხერხებით ავრცელებს ჩვენს შესაცდენად, დროადრო მაინც აღწევს ჩვენამდე ჩვენი ქვეყნის უტყუარი ამბები, რომლებიც გამამხნეველები არიან. მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა, პროფესორ-პედაგოგები და საერთოდ ინტელიგენცია სულ უფროდაუფრო მრავალრიცხოვანად ებმება ბრძოლაში მშობლიური ენისა და კულტურის დასაცავად, წართმეული პოლიტიკური თავისუფლებისა და ეროვნული უფლებების დასაბრუნებლად, მაგრამ ჩვენ არ ვითი თუ არსებობს ამ მოძრაობის ოპერატიული შტაბი ეროვნული მასშტაბით, რაც აუცილებელია ბრძოლის წარმატებისათვის. მეორე მხრით, მოძრაობაში არ ჩანან ჩამშული მუშები და გლეხები, ერთი სიტყვით, ფიზიკური მშრომელები. ეს ნაკლი აუცილებლად და რაც შეიძლება მალე უნდა გამოსწორდეს. თუ ეს ორი ნაკლი არ გამოსწორდა ბრძოლის წარმატება სათუო იქნება. ამის ნათელსაყოფად მოვიყვან ორ მაგალითს, ერთს ჩვენი წარსულიდან, მეორეს საერთაშორისო დღევანდელიდან:



1. წარსულში, თერგდალეულთა დეაწლი დაუფასებელია ყველა შიგანიული ქართველთა წინააღმდეგობის იმით გვიხსნეს გარუსებისაგან, ეს იმით დათესილ თესლი, რომლიდანაც უნდა აღმოცენდებოდა ნებულიყო და კიდევაც აღმოცენდა განახლებული საქართველო. მაგრამ თერგდალეულთა მოღვაწეობა იყო ეროვნული ბრძოლის ერთი მხარე. ის რომ სრულყოფილი გამხდარიყო, საჭირო იყო პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაცია და მართლაც ჩამოყალიბდნენ: სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური და უფრო გვიან ეროვნულ დემოკრატიული პარტიები, თავთავიანთი ეროვნული, სოციალური და ეკონომიური პროგრამებით. ამ პარტიებში დარაზმულმა ქართველმა ხალხმა ხელსაყრელ მომენტში მოიპოვა როგორც თავისუფლება, ისე სახელმწიფო.

2. დღევანდელაში, ისევ პოლონეთი გვაძლევს ყველაზე უკეთეს მაგალითს. პოლონეთის 1980 წლის ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც შემდეგ სოლიდარობის პროფკავშირების მოძრაობად განვითარდა დაიწყო მუშების გაფიცვებით და მღელვარებით, რომელსაც შემდეგ თანათან შეუერთდა პოლონეთის მოსახლეობის ყველა ფენა, თვით კომუნისტების ჩათვლით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ეროვნულ მოძრაობას წარმართვდა რიცხობრივად მცირე, მაგრამ მტკიცედ შეტრული „კორ“-ის არაღვალური ორგანიზაცია, რომელიც თავის მხრით ჩამოყალიბდა 1976 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ. მიუხედავად ექვსი თვის წინანდ მოწყობილი სამხედრო ვადებრივობისა, საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და სოლიდარობის მთელი ხელმძღვანელების დაპატიმრებისა, პოლონეთის ეს დიდი ხალხური მოძრაობა ჯერ დამარცხებული არ არის და ის კიდევ ბევრ უძიოდ დამეს გაათევენებს, როგორც კრემლის ხაზინებს, ისე გენერალ იარუზელსკის მხედრობას.

ახლა ისმება საკითხი, არსებობს თუ არა ჩვენში პირობები მუშებისა და გლეხების ღრმა უკმაყოფილებისა? არსად, არც ერთ რეჟიმში მშრომელი ისე უღუფლებო და გაყველად არ არის, როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში. საბჭოთა ეკონომიკის სისტემის უფარგისობა და სახალხო კონტროლს მოკლებული კრემლის ავანტიურისტული მსოფლიოზე გაბატონების პოლიტიკა, სწორედ ყველაზე მძიმედ პატიოსან მშრომელებს აწვევთ ტვირთად. საჭიროა ეს კარგად და მათთვის გასაგებ ენაზე განემარტოთ მათ. მუშები, რომ თავდადებულად გაჰყვენ ადამიანისა და ერის უფლებებისათვის წარმოებულ ბრძოლას, ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ეს ბრძოლა მათ აგრეთვე მოუტანთ მატერიალურ, სასურსათო, სანიტარული, საბინაო, შრომისა და დასვენების პირობების რადიკალურ გაუმჯობესებას.

მაშ, დღევანდლობის გადაუღებელი ამოცანაა სამშობლოში შეიქმნას პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც დარაზმავს მთელ ქართველობას, მის ყველა შემადგენელ ფენას და წინააღმდეგობა დროში, რომელსაც ეწერება პოლიტიკური თავისუფლება, პიროვნებისა და ერის უფლებების პატივისცემა, შრომისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ძველი პარტიული ორგანიზაციები რეჟიმმა უწყალოდ გაანადგურა. არსებობენ კიდევ მათი ნარჩენები? შეიძლება, მაგრამ მათ ხერხემალი ვატეხილი აქვთ და ახალი მდგომარეობა მოითხოვს ახალ დარაზმულობას. რა თქმა უნდა, ასეთ ორგანიზაციას საბჭოთა ხელისუფლება ნებას არ დართავს, მაგრამ ტირანიას ნებას არ თხოვენ, მას ბრძოლით მოიპოვებენ.

გიორგი წერეთელი

 მ ე ბ რ ძ ო ლ ი * * * * * * * * *
 საქართველოს 2 წამებული

1. ნიკოლოზ სამხარაძე

ამნესტი ინტერნაციონალის ბეჭდვითი ორგანო „ქრონიკა“ №75. მაისი 1982 წლის იუწყება: „ნიკოლოზ სამხარაძე, ქართველი ექიმი და ისტორიკოსი, 67 წლისა, უკვე ერთი წელიწადი და ნახევარია, რაც ძალით მოთავსებულია მეტად საშიშ სულთ ავადმყოფთა განსაკუთრებულ პოსიტალში, დისიდენტურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო.

ის დაუპატიმრებიათ 1980 წლის სექტემბერში, თბილისში, „ანტი-საბჭოთა ავტაცისა და პროპაგანდის“ ბრძლებით. ფსიქიატრული შემოწმების შემდეგ, ის გამოაცხადეს როგორც გონებრივად დაავადებული და „უპასუხისმგებლო“ ჩადენილი აქტებისათვის. სასამართლომ დაადგინა მისი იზოლიაცია განუსაზღვრელი დროით განსაკუთრებულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ეს არის ყველაზე მძიმე ფორმის ფსიქიატრიული პატიმრობა, რომელიც განკუთვნილია იმ



პირთათვის, რომლებიც „განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენენ საზოგადოებისათვის“ რამდენადაც ვიცით, ნიკოლოზ სამხარაძეს არც თვითონ მიუშარათაც ძალადობის სახელი „ქვეყნის“ არც სხვაინსტივის მოუწოდება ძალადობის ჩასადენად. ფიქრობენ, რომ ის იმყოფება ცენტრალურ უკრაინაში, დნეპროპეტროვსკის განსაკუთრებულ ფსიქიატრულ ჰოსპიტალში მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

ნიკოლოზ სამხარაძე 1959 წ. უკვე იმყოფებოდა ფსიქიატრულ ჰოსპიტალში. სამოცდაათიან წლებში ის ვახდა საქართველოში „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ჯგუფის წევრი.

ამნესტი ინტერნაციონალს ნ. სამხარაძე მიაჩნია აზრის პატიმრად და ის ჰოსპიტალში ძალით იქნა მოთავსებული არა მკურნალობის მიზნით, არამედ პოლიტიკური მოსაზრებით. ამნესტი ინტერნაციონალი კურსშია რევოლუციურად, რომ საბჭოთა ფსიქიატრულ საავადმყოფოებში აზრის პატიმრებს ცუდად ექცევიან და მათ აიძულებენ ისეთ მკურნალობას, რომელიც მედიცინის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

მიწერეთ ზრდილობიან ფორმაში შემდეგ მისამართზე: სსრკ, საქართველოს სსრ კ. თბილისი რესპუბლიკის პროკურატურა, პროკურორ ა. ბარაბაძე (მისამართი უკეთესია დაიწეროს რუსულად რუსული ასოებით), რომ შეკვეთილ შეფოტებას იწყებს ნიკოლოზ სამხარაძის მდგომარეობა და ის ზომები, რომლებიც მის მიმართ იქნა გამოყენებული მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, რომელსაც ის გამოთქვამდა არა ძალადობის ფორმაში.“

მერაბ კოსტავა


მერაბ კოსტავას ახალი დასჯის შესახებ უკვე გაცნობთ „თ.ტ.“-ს 35 ნომერში და შემდეგ 36-ში უფრო დაწვრილებით ბ. ზურაბ ნარსიას სტატიით. მაშინ ისიც იყო ნათქვამი, რომ აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა დებუებით მიმართა ედ. შევარდნაძეს მ. კოსტავას სასარგებლოდ. ახლა ხელთა გვაქვს ამ დებუების სრული ტექსტი:

„გადასახლების ვადის მოხდის უკანასკნელ თვეებში ისევ დააპატიმრეს სინდისისათვის დასჯილი მერაბ კოსტავა, რომელსაც ადრე მისჯილი ჰქონდა სამი წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა და შემდეგ ორი წლით გადასახლება. მე იგი მიმჩნია უკეთილშობილეს ადამიანად. თქვენი შეიძლება სხვანაირად იყოთ განწყობილი, მაგრამ მან უკვე მოიხდა სასჯელი. კოსტავას ხელახალი დაპატიმრების მიზეზი ვახდა მისი პროტესტი, როცა მილიციის მუშაკებმა მის სახლში დააკავეს მისი სტუმარი, რომელსაც იგი ადრე არ იცნობდა. კოსტავას ეს პროტესტი შეფასებული იქნა როგორც შეურაცხყოფა მილიციის მუშაკებისადმი.

სტუმართმოყვარეობის დიდებული ქართული ტრადიციის, სამართლიანობის და ქართველი ხალხის ღირსების სახელით გვებევნებით დაეხმარეთ კოსტავას. პატივისცემით, ა. სახაროვი. 30 დეკემბერი, 1981 წელი.“

„რეიტრისა“ და „ფრანს პრესის“ სააგენტოებმა რვა მისის მოსკოვიდან გადმოცეს ცნობა, რომ 6 მაისს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შუამდგომლობით, 5 დღის პატიმრობის შემდეგ, თავდებით გაანთავისუფლეს ამ ინსტიტუტის სამი ისტორიკოსი: გუგუ აფაქიძე, მაღლაზ ფუტყარაძე, ზურაბ ცინცაძე. ეს სამი ისტორიკოსი პირველ მაისს ხელიგნობის ბრალდებით დააპატიმრეს იმის გამო, რომ ისინი ერიენ(იქნებ მეთაურობდნენ?) მერაბ კოსტავას განთავისუფლების სასარგებლო მანიფესტაციაში და, რომლის შემდეგაც ათი კაცის ხელმოწერით პეტიცია გაეგზავნა ხელისუფლებას, რომელშიც მოთხოვნილი იყო მერაბ კოსტავას პატიმრობიდან განთავისუფლება.

აქვე მოგაგონებთ ჩვენი ჟურნალის 34 ნომერში გამოქვეყნებულ ცნობას „კიდევ ერთი ეროვნული საკითხი“, რომელიც გადმოხტეტილი იყო პარიზის რუსული გაზეთიდან, „რუსსკაია მისლ“-იდან, სადაც ნათქვამი იყო, რომ 1981 წლის 18 მაისს, უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა მასიური დემონსტრაცია, რომელიც გაფანტა პოლიციამ. მანიფესტანტებმა ხელისუფლებას მიმართეს წერილით, რომელშიც მოითხოვდნენ: აფხაზეთში და საინგილოში მცხოვრებ ქართველების დევნის შეწყვეტას, ქართული ენის როგორც სახელმწიფო ენის უზრუნველყოფას საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების და ნიკოლოზ სამხარაძის განთავისუფლებას ფსიქიატრიული საავადმყოფო პატიმრობიდან. აქვე ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ნ. სამხარაძე 67 წლისაა, ჰყავს უნუგეშო მდგომარეობაში დატოვებული ცოლი და სამი შვილი და, რომ მისი „გეობისა“ და უბედურების მიზეზია ის, რომ ის მოითხოვს საქართველოს საშუალო



სკოლებში ქართული ხალხის ისტორიის სწავლებას უშეშ 1959 წლიდან.

ზემოდ მოყვანილი ცნობები მოწმობენ, რომ მიუხედავად დიდი რისკისა, სამხარაძის მიმდინარეობს მოძრაობა ნ. სამხარაძისა და მ. კოსტავას განთავისუფლების სასარგებლოდ და, რომ მათ კეთილშობილ საქმეში მხარს უმაგრებს ისეთი საერთაშორისო მორალის ინსტიტუტები, როგორცია ანდრეი სახაროვი და „საერთაშორისო ამნისტია.“

ჩვენი, ქართული ემიგრაციის მოვალეობაა მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ ამ ჩვენი ორი წამებული კეთილშობილი ქართველის განთავისუფლების საქმეში. ჩვენი მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად: 1. სათვისტომოების გამგეობებს შეუძლიათ მიმართონ განცხადებებით თავთავიანთ შემფარველ ქვეყნების ხელისუფლებისა და პრესის ორგანოებს. 2. თითოეულ ჩვენგანს ჰყავს უცხოელი მეგობრები, რომლებიც ალბათ სიამოვნებით დათანხმდებიან ნ. სამხარაძის და მ. კოსტავას განთავისუფლების თხოვნით მიმართონ საბჭოთა საელჩოებსა და საქართველოს სსრ პროკურორს, იმ მისამართით, რომელიც ზემოდ, „ამნესტი ინტერნაციონალის“ მოწოდებაშია. 3. პარტიებს, ჰელსინკის ხელშეკრულების დაცვის კომიტეტებს, ეკლესიას შეუძლიათ იმოქმედონ თავთავიანთ წრეებში, რათა შექმნან მსოფლიო საზოგადოების განწყობილება სამხარაძე-კოსტავას განთავისუფლების სასარგებლოდ.

„ო.ტ.“

რ უ ს ე თ ი ს ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი და ქ ა რ თ უ ლ ი ი დ ე ი ა

ერე როგორც სოციალური ორგანიზმი, ბევრ პარალელს ნახულობს ბიოლოგიურ ორგანიზმთან და მსგავსება აქ თავდება. განსხვავება მათ ბუნებაშია. მაშინ, როცა ბიოლოგიური სტრუქტურა ყალიბდება ბიო-ქიმიურ, წმინდა მატერიალურ ბაზაზედ, სოციალური ორგანიზმის შექმნას საფუძვლად უდევს სულიერ მოვლენათა უჯამი. სოციალობა ერთი სახეა სულიერებისა. ერის სულიერ ზრდასა და სინტიციცეს ქმნის მისი ისტორია და ყველა ის ფაქტორები, რომლებიც ამ ისტორიას ქმნიან. დიდ როლს თამაშობს დრო და სივრცე. დრო ერის ისტორიის ასპარეზზე გამოსვლისა, გეოგრაფიული არის აღნაგობა, სადაც მას უხდება ცხოვრება, მეზობლებთან ურთიერთობა და სხვა. ამავე ფაქტორებმა განსაზღვრეს რუსის ხალხის ბუნება. რუსი ხალხი დამნაშავე არ არის იმაში, რომ ის რუსი ხალხია.

რუსი ხალხი ძალიან გვიან გამოვიდა ისტორიის ასპარეზზე, მაშინ, როდესაც ქართველ ხალხს თავისი ისტორიის ნახევარი უკვე განვლილი ჰქონდა. ამიტომ რუსი ხალხი ვერც ერთ დიდ საკაცობრიო ცივილიზაციის ეფე ვიარა. სანამ ეს ხალხი შესხლებდა შეკავშირებას და ეროვნული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, მას დაასწრო უცხო ძალის ბატონობამ, რომელიც არა ნაკლებ ბარბაროსულ მდგომარეობაში იყო და მონგოლთა სამი საუკუნის ბატონობამ რუსს, ახლად გაქრისტიანებულ და მოუწმიფებელ ბუნებაში, წარმართული სული ჩაუდგა.

როდესაც რუსები მონგოლებიგან განთავისუფლდნენ და დაიწყეს თავიანთი მოსკოვის სამეფოს ჩამოყალიბება, მათ პირი იბრუნეს დასავლეთისაკენ, რომ დასავლეთის ახალ ცივილიზაციის ზიარებულნი, მაგრამ მათ საამისო სულიერი ძალა აღარ აღმოაჩნდათ. ეს ხალხი დარჩა აღმოსავლური, წარმართული სულის მიერ შებოჭილი.

რუსი ხალხის ბუნება ასევე განსაზღვრა რუსეთის დაუსრულებელმა სტაბემა. ამ მდგომარეობამ რუსის სულსა და მისწრაფებაში ვერ შექმნა ცნება საზღვრისა. რუსის მისწრაფებას საზღვარი არა აქვს. ის მუდმივ მიისწრაფის დაუსრულებლობის ასათვისებლად.

მოსკოვის სამეფოს დაარსების დღიდანვე, იმის მაგიერ, რომ ეროვნული მეობა გამოექედა, დაიწყო ლტოლვა მისი საზღვრების მიღმა, დაპყრობა გარეშე მიწებისა, რომელსაც საზღვარი ვერ დაუდგა და ამნაირად რუსის ხალხმა ვერ შექმნა ნამდვილი ეროვნული ორგანიზაცია. გარეშე დაბეზრობითი გაუმძაღრობა იქცა ერთ-ერთ მის დამახასიათებელ ბუნებად.

ცნობილია, რომ კულტურა იქმნება და იზრდება ეროვნულ ძირებზედ. იქ სადაც ერი არ არსებობს ხალხი იმყოფება ამორფულ მდგომარეობაში და საკუთარ კულტურას ვერ ქმნის. არსებობს უფრო სხვათა მიბაძვით. ეს იგივეა, რომ ჯერ კიდევ უასაკო ბავშვს დიდი ადამიანის ტანსაცმელი ჩააცვათ. ასეთ პირობებში, ხალხიც ფიზიკურად იზრდება, ხოლო კულტურულად ბავშვის მდგომარეობაში რჩება. ამიტომ თქვა რუსის ცნობილმა მწერალმა ჩაადაევმა: „რუსი ხალხი იზრდება და არ მწიფდება.“ ხოლო კულტურის შესაქმნელად და სხვა



ხალხთა შორის წარჩინების მოსაპოვებლად სულიერი სიმწიფეა საჭირო და არა ფიზიკური ზრდა. მაგონდება ერთი ფრანგი ეპისკოპოსის სიტყვები. მან ერთხელ ეკლესიაში განსწავლულ ქართველი ერი დიდი ერიამ. ამის შემდეგ სადილობისას გვახსენე, რომ დიდი კომპლიმენტი გითხარით, რადგან ყველამ იცის, რომ ქართველი ერი პატარა ერია. მან მიპასუხა: ერის სიდიდე მისი რიცხვით არ ფასდება, არამედ იმ წვლილით, რაც მას კაცობრიობის კულტურულ საღაროში შეუტანიაო და სხვა.


ისე როგორც მოიპოვებინ ინდივიდები, რომელნიც 50 წლის ასაკში ბავშვის გონიერებით ცხოვრობენ, ასევე ემართებათ ერებსაც, ამიტომ იგივე ჩაადავეი დასძენს: „რუსის ხალხს ისტორიაში არაფერი შეუქმნია დიდი, არ შეუსრულებია არავითარი მაღალი მისიაო.“ და დღევანდელი რუსები თავს იმით ინფუგებენ, რომ მან ეს წარსულზე თქვაო, ხოლო ჩვენ მალე აწმყოსაც გავსიხვავთ. რასაკვირველია ასეთ ხალხში შეიძლება დაიბადონ ინდივიდები, რომელთაც სრულის შეგნებით ესმით თავისი ხალხის ბუნება და ხასიათი. ისინი ამაღლებულნი არიან საერთო მასლების დონიდან, მაგრამ ეს ეხება ინდივიდებს და არა საერთოდ ხალხს. რუსეთის მოწინავე შვილთაგან სხვასაც გამოუთქვამს ასეთი აზრები, მაგრამ აქ ეს ვიკმარათ.

როგორც აღვნიშნე, რუსის ხალხი დაპყრობით პოლიტიკაზე გადავიდა, სანამ თავის ეროვნულ მეობას მკვეთრად ჩამოაყალიბებდა და ამიტომ ის იქცა მის მუდმივ ტრადიციად, მაშინ, როდესაც მაგალითად საფრანგეთმა და ინგლისმა ჯერ თავიანთი ეროვნული სახელმწიფოები ჩამოაყალიბეს და მერე იმპერიები. რუსის ხალხის ამგვარი ბუნებიდანვე გამომდინარეობდა მათი კოლონიალური პოლიტიკის თავისებურება, რადიკალურად განსხვავებული ევროპელთაგან—ეს იყო რუსეთის ასიმილიაციის პოლიტიკა. რუსი ცდილობდა ყოველი დაპყრობილი ხალხი ვერუსებოდა და შეეყარა იმ უზარმაზარ ბრბოში, რომელიც ჯერ ჩამოუყალიბებელი რუსის ხალხი ეწოდებოდა. არც ფრანგს, არც ინგლისელს და არც სხვა რომელიმე ხალხს ძველად არ უფიქრიათ, რომ დაპყრობილი ხალხი თავიანთ ერში გაეთქვიფათ. პირიქით ასეთებისაგან მათ თავი შორს ეჭირათ და წინააღმდეგნი იყვნენ აღრეობას. რუსებს ეს პირიქით, დიდ წარმატებად ის მიჩანდათ, რომ სხვა ხალხები შეერწყათ თავიანთ ხალხში და ამისთვის ყველაფერს აკეთებდნენ. უსპობდნენ მათ ეროვნულ კულტურას, ენას, ადამიანურებებს და ყველა მას რაც მათ რუსისგან ანსხვავებდა. ამ მხრივ დღევანდელი ბოლშევიკური რუსეთი არ განსხვავდება ივანე მრისხანისა, პეტრე დიდისა და ნიკოლოზ მეორის რუსეთისაგან. განსხვავება მხოლოდ დღევანდელი განვითარებული ტექნიკის მოხმარებაშია.

როგორც კი ჩამოყალიბდა მოსკოვის სამეფო დაიწყო დამიზნება დასავლეთ ევროპის მიმართ: იოანე მრისხანემ მუშურჩია მომენტი, პოლონეთში იყო ორი წლით კრიზისი მეფის არჩევასთან დაკავშირებით და მას შეესია. ის ფიქრობდა, რომ პოლონეთის დაპყრობის შემდეგ გზა გაეხსნებოდა დასავლეთ ევროპისაკენ, მაგრამ კარგად ვერ იანგარიშა, პოლონეთში კრიზისის მალე მოეღო ბოლო. პოლონეთი ამ დროს ევროპის ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა. პოლონეთმა ის სასტიკად დაამარცხა და მრავალი ციხე-სიმაგრეები ჩამოართვა. იოანეს საქმე ისე გაუჭირდა, რომ რომის პაპს მიმართა დახმარებისათვის რომ სათანადო ზავი მოეპოვებია. ამნაირად რუსეთი დამარცხდა, მაგრამ რუსის იდეა დარჩა უცვლელი. ერთ ხანს რუსეთს ძალა აღარ შესწევდა დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებისათვის. ეს დროც დადგება...

რუსეთისათვის დამახასიათებელი იყო და დარჩა თვითმპყრობელობა და იმპერიალიზმი: დღევანდელი რუსეთის ბოლშევიკებიც ამ გზას ადგან; ისინი ყველგან ამტკიცებენ რუსის ბუნებას. რუსეთის ძველსა და ახალ ისტორიას შორის უწყვეტი ხიდი გადებულია. ბერდიევის აზრით, ბოლშევიზმი არის მესამე ფაზა რუსეთის ისტორიის ტრადიციისა. პირველი ფაზა იყო მოსკოვის სამეფო, მესამე რომის მესიანური რწმენით. მესიანისში რუსის ხალხის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. რუსის ბერმა ფილდვეიმ განაცხადა: პირველი რომი მოკვდა, მეორე(ბიზანტია) აღსრულდა, რუსეთი არის მესამე რომი და მეოთხე აღარ იქნებაო. ამ რწმენით მოქმედებდა მოსკოვის სამეფო. მეორე ფაზა იყო პეტრე დიდის იმპერია. პეტრე იყო ლენინის ერთი წინაპარი. პეტრე მიიღტვოდა კონსტანტინეპოლის დასაპყრობლად, რომ მოსკოვის სამეფოს ანდერძი აღედსრულებია და შეექმნა მესამე რომის იმპერია. იგივე ტრადიცია განაგრძო ალექსანდრე პირველმა და უკანასკნელად ნიკოლოზ მეორემ.

საყურადღებოა მოვიგონოთ პირველი მსოფლიო ომის ამბავი. რუსის მთავრობამ დიდი მცდელობის შემდეგ ინგლის-საფრანგეთისგან მიიპოვა საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით



გამარჯვების შემდეგ კონსტანტინეპოლი უნდა გამხდარიყო რუსეთის საკუთრება და კვლავ მეტი: ბოსფორის ორივე მხრიდან ოცი კილომეტრის მანძილზე ტერიტორია. ამ დროისათვის კვეყნებულ დოკუმენტებში მოიპოვება ნიკოლოზ მეორის დებეშა ინგლისის მეფესთან, სადაც ის აცხადებს, რომ უკონსტანტინეპოლად რუსეთს არსებობა არ შეუძლიაო. ხოლო ისიც ფაქტია, რომ პეტრე დიდის შემდეგ სამასი წელი გავიდა და რუსეთმა უმისოდ მშვენივრად იიარსება. იოანე მრისხანისა და პეტრე დიდის გზას გაჰყვებიან რუსეთის ბოლშევიკებიც. ასე ფიქრობს რუსი მოაზროვნე ბერდიაევი, რომელიც წერს: „საბჭოთა კომუნისტურ სამეფოს თავისი სულერი კონსტრუქციით დიდი მსავსება აქვს მოსკოვის მართლმადიდებელ სამეფოსთან.“

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ვერც მოსკოვის სამეფომ, ვერც პეტრე დიდმა და ვერც ნიკოლოზ მეორემ ვერ განახორციელეს რუსეთის მესიანური იდეა და ალბათ იგივე უწყერა ლენინის სამეფოს, რომელზედაც ბერდიაევი გაკვირვებით დასძენს: „მოხდა განსაკვირვებელი ამბავი, მესამე რომის მავრი რუსეთში გახორციელდა მესამე ინტერნაციონალი და მასში გადავიდა მრავალი ხასიათი მესამე რომისა.“ დასავლეთში ვერ გაიგეს, რომ მესამე ინტერნაციონალი არის წმინდა რუსული მოვლენა. მისი შექმნის ისტორიაც ადასტურებს მას.

საზოგადოდ მთელი რუსეთის მოწინავე საზოგადოების იდეოლოგია, რწმენა, ჩამოყალიბდა წმინდა რუსული ბუნების მიხედვით. მრავალი ფაქტები ამტკიცებენ, რომ მაშინაც როცაც რუსეთის მოწინავე შვილები იღებდნენ ევროპულ განათლებას და გარეგნულად აღიარებდნენ მათ იდეებს, რუსი მაინც რჩებოდა რუსული რწმენით და ვინც ამ გზას ღლატობდა ის მწარედ მარცხდებოდა.

რუსეთის მოწინავე საზოგადოების ერთ დამახასიათებელ მოვლენად იქცა, ე.წ. „ინტელიგენცია“, რომელსაც პარალელი არ მოეპოვება არც ერთ ქვეყანაში. კვლავ ქვეყნის ჰყავს თავისი ინტელექტუალური წრე, რომლის მოღვაწეობას შეადგენს გონებრივი მოქმედება, განსვავებით ფიზიკური და ტექნიკური შრომისაგან და არც ერთ ქვეყანაში საზოგადოების ამ ნაწილსაგან არ შექმნილა საზოგადოების გარკვეული ფენა, კლასი; ეს სიტყვა „ინტელიგენცია“ გაჩნდა მხოლოდ რუსეთში. რუსეთის თვალუწვდენელ სტებებში ადამიანი მასიურად ვერ მომწიფდა. თვით რუსეთის არისტოკრატია სიბუნელში დარჩა და მთელი მათი კულტურა არაფეს გადაკვრის ტრადიციასი გამოიხატა. ამიტომ რუსი ხალხის ნაწილი რომელიც დასავლეთის განათლებას ეზიარა, მთლად გარიყული დაარჩა არა მარტო დაბალი მასებისაგან, არამედ რუსის ბიუროკრატისა და გონებრივად დაბალ ღონეზე მდგომი არისტოკრატისაგან. ამნაირად, ეს წრე ბუნებრივად გამოეყო რუსეთის ფართო საზოგადოებას და თავისი ევროპული იდეებით ჰაერში ჩამოკიდებული დარჩა, მაგრამ რუსული იდეებისაგან განთავისუფლება მაინც ვერ შესძლია, ის ძალაუნებურად გაჰყვა რუსეთის ძველ სახელმწიფოებრივ ტრადიციას, რაც შედავდებოდა მათი ბრძოლის მეთოდებში. ამ წრის სოციალურ და მორალურ მისწრაფებებში მუდამ მოჩანდა დესპოტიური, შეუბრალებელი და გაუშაძარი რუსის ბუნება. მათი მისწრაფებებიც ისევე ზღვარდაუღებელი აღმოჩნდა, როგორც იოანე მრისხანისა და პეტრე დიდისა, რომელთაც თითქოს გარეგნულად ებრძოდნენ. რუსეთის ინტელიგენცია, რომელიც მიიღებოდა, რომ რუსეთში დაემყარება სამართლიანობა, რომ მომხდარიყო ადამიანის სრული ემანსიპაცია და მშვიდობა, კვლავ რუსულ მეთოდებს მიმართავდა. ძალიან ცოტა იყო მათში ისეთი, რომელიც მთლიანად ევროპის აზროვნებასა და პრაქტიკას ემყარებოდა. ამ მოვლენის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს რუსეთის სოც-დემოკრატიული პარტია. გარეგნულად ეს პარტია ჩამოყალიბდა დასავლურ მარქსიზმზე, მაგრამ მალე მთლიანობა დაიკრდა. განხეთქილების მიზეზი გარეგნულად უბრალო იყო: პლხანოვის ფრთა, ე.წ. მენშევიკებისა, ევროპულ გავებას მიჰყვებოდა. მეორე ფრთა ბოლშევიკებისა ლენინის მეთაურობით მას ვერ შეეგება და მიუხედავად გარეგნულად მარქსიზმის. ფრთე-ოლოგიაზე თამაშისა, ის ეზარა ძველ რუსულ ნილიისტურ სულს, რომელსაც მისი მემკვიდრეები განაგრძობენ. ლენინი, ვიმეორებ, მიუხედავად მისი გარეგნული მარქსისტობისა, დასავლურ იდეას ვერ შეუთრიადა და თავისი ბრძოლის მეთოდებშივე გამოაშკარავა ძველი რუსული ტრადიცია. უკვე რევოლუციის დროს ნათელი გახდა მისი ბრძოლის მეთოდი და პრაქტიკაში მთლიანად რუსული ბუნების ტრადიციამ გადავიდა. გადავიდა და სწორედ ამიტომაც გაიმარჯვა, არადგან რუსის ხალხს მისი ენა, ენა მშობლიური, უფრო ესმოდა ვიდრე მენშევიკ-კადეტებისა. ამნაირად გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა და, რაც მათ რუსის ხალხს და საუბედუროდ სხვა ხალხებსაც მოუტანეს, წმინდა რუსული სულისა და იდეის პროლეტარია. ამიტომ ბოლშევიზმი არის



საქართველო
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საინფორმაციო

წმინდა რუსული მოვლენა...

რუსეთის მოწინავე რევოლუციური წრეები მეცხრამეტე საუკუნეში ფიქრობდნენ, რომ რუსეთს თავისი განვითარების გზა აქვს, მათ შორის გერცენი და რუსის ხალხოსანი რევოლუციონერები. რომ რუსეთი ვერ წავა ევროპის გზით. მათ სწამდათ კაპიტალიზმის აცდენა რუსეთში და სოციალიზმის დამყარება რუსეთში ევროპაზე ადრე. რუსეთის ჩამორჩენილობა, რომ ის არ იყო ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანა, ეს მათ მიაჩნდათ ბედნიერებად. რომ ჩვენ უფრო მოკლე გზით შევალთ სოციალიზმის სამეფოში.

დასაწყისში ყველა მარქსისტები, ხოლო მენშევიკები ბოლომდე შერჩნენ მარქსის დასავლური იდეას. მათი აზრით(მარქსით) სოციალისტური რევოლუცია და სოციალიზმის დამყარება უნდა მოჰყვეს როგორც აუცილებლობა კაპიტალიზმის განვითარებას, მუშათა პროლეტარიატის შროდას და სხვა. მანამდე კი რუსეთში სოციალისტური რევოლუციის მოხდენა შეუძლებელია. აქ დასაწყისში რევოლუცია შეიძლება იყოს ბურჟუაზიული. ამ გზას ადგენენ რევოლუციის დროს ესერები და მენშევიკები და მთავრობას უთმობდნენ ბურჟუაზიულ ელემენტებს და მასში მონაწილეობას ვერ ბედავდნენ. ლენინი კი მოითხოვდა, რომ ხელისუფლება საბჭოებს გადაეცემოდა და მაშინვე განეხორციელებინათ სოციალისტური რევოლუცია. აქ ლენინმა ახლიად გამოამყვანა თავისი რუსული ბუნტარული სული და თუ არა ნებით, ძალით სცადა ხელისუფლების ხელში ჩაგდება და კიდევაც ჩაიგდო, ხოლო ბურჟუაზიას თან მიაყოლა გუშინდელი მისი პარტიული ამხანაგები და ესერებიც მზითვად ვააყოლა. გადაწყვიტა ხელისუფლების სათავეში ჩამდგარიყო, ზევიდან შეექმნა ინდუსტრიული განვითარების პირობები და, რაც შეიძლება მალე დაემყარებინა სოციალიზმი და კომუნისმი.

ლენინის გამარჯვების მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო. მან უკუთავად დასავლური მეთოდი ბრძოლისა, დაადგა წმინდა რუსულ გზას. არც ერთი გამოვლენა ბოლშევიკების მოქმედებისა, პოლიტიკური, ეკონომიური თუ სოციალური, უცხო არ იყო ძველი რუსეთის ტრადიციისათვის. ბოლშევიკების ტოტალიტარიზმის იდეა იგივეა რაც სლავიანოფილებისა. ასეთები იყვნენ ბელინსკი და ბაკუნინი. რუსეთის ბუნება არის ანარქიული. ამ სულით იყო გასცხვალული რუსეთის ინტელიგენცია. რუსეთის ანარქიის მამამთავრები იყვნენ ბაკუნინი, კრაპოტკინი და ლ. ტოლსტოი. ბაკუნინის იდეალი იყო რუსეთში შეექმნა ბუნტარული, მძარცველობითი, პუგაჩოვისებური სტიქია, ისე როგორც იქცოდა ლენინი რევოლუციის დროს.

მათი დამახასიათებელი იყო აგრედვე ათეიზმი. ბოლშევიკებმა სწორედ მათგან შეითვისეს ეს იდეა და არა მარქსისაგან. მართალია, მარქსი ამბობდა, რომ სარწმუნოება ხალხის ოპიუმითი, მაგრამ ის მის მოსაზრებას ბოლშევიკური მეთოდით არ ფიქრობდა. რელიგიის მოსაზრების საშუალებად მიაჩნდა ხალხის კულტურულად ამაღლება. ლენინმა კი უკუთავად მარქსის ანტი-რელიგიური მეთოდი. მან მისი ამოგდება მოინდომა ცეცხლითა და მახვილით. რელიგიის საკითხშიც ის პირდაპირი მოწაფე იყო ბაკუნინისა, რომელმაც ერთხელ ასეთი ვულგარული ფრაზაც წამოროშა: იესო ქრისტე ციხეში უნდა ჩაესვათ როგორც ზარმაცი და მაწანწალაო.

ყველა აღრინდელი რევოლუციონერები ცოტად თუ ბევრად ბოლშევიკური იდეების შექადაგებლები იყვნენ. ბოლშევიკების წინაპრებად უნდა ჩათვალოს ჩერნიშევსკი და თვით მიხაილოვსკი. ლენინმა მთელი რიგი იდეებისა ისეხსა ტყაჩევისა და ნეჩაევსაგან. ისინი, როგორც ლენინი, რევოლუციის თეორეტიკოსები იყვნენ. პრაქტიკულად ნგრევის მოციქულები და არა შექმნისა; ამნაირად ისინიც უშუალო წინაპრები იყვნენ ლენინისა.

და ბოლოს, როგორც ბერდიაევი დასძენს: „სტალინის პერიოდის კომუნისმი წარმოადგენს პეტრე დიდის საქმიანობის გაგრძელებას.“ სტალინი წარმოშობით ქართველი იყო, მაგრამ რუსული იდეის ერთგული გამაგრებელი, სხვანაირად ის ვერ გახდებოდა სტალინი!

ამ მოკლე ფრაგმენტული განხილვიდან დავინახეთ თუ რა საფუძველი ედგა რუსის ხალხის იდეურ მოძრაობას. ანარქიზმი, ათეიზმი, თვითმპყრობელობა, ზღვარდაუდებელი იმპერიალიზმი და მესიანიზმი, რომელიც საზრდოობდა და საზრდოობს ხან ქრისტიანობისა და ხან კომუნისმის იდეებით ქვეყნად სამარადისო მესამე რომის იმპერიის შესაქმნელად.

(დასასრული იხ. მომავალ ნომერში)

ალექსანდრე მანგელიშვილი



პ რ ე ვ ი დ ა ნ რ ე ი გ ა ნ ი ს ს ი ტ ყ ვ ა

ორიდან თერთმეტ იენისამდე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რონალდ რეიგანი, მეუღლე ქალბატონ ნანსის თანხლებით, საქმიან ვიზიტად იყოფებოდა დასავლეთ ევროპაში. 5-6 იენის მან მონაწილეობა მიიღო ვერსალის, შვიდი უმძლავრესი ინდუსტრიული სახელმწიფოს უმაღლესი დონის, კონფერენციაში, 7 იენის ესტუმრა რომს და იმ დღესვე გაემგზავრა ლონდონში, სადაც სიტყვით მიმართა ინგლისის პარლამენტს, 9 იენისს პრეზიდენტი ჩაბრძანდა ქ. ბონში, სადაც მეორე დღეს მონაწილეობა მიიღო ატლანტის პაქტის უმაღლესი დონის თათბირში. 11 იენისს ბ. რ. რეიგანი ეწვია ბერლინის სამარცხვინო კედელს და სიტყვით მიმართა გერმანიის ფ. რ. დაბანაკებულ ამერიკის ჯარებს. იმ დღესვე პრეზიდენტი დაბრუნდა ბონში და იქიდან თავის სამშობლოში.

ინგლისის პარლამენტისადმი მიმართულ სიტყვაში, ამერიკის პრეზიდენტმა სხვათა შორის ბრძანა:

„მთელ მსოფლიოში დღეს დემოკრატიული რევოლუცია იძენს ახალ ძალებს. ასევეა კომუნისტურ სამყაროში: ადამიანის ინსტიტუტური სურვილი თავისუფლებისა და თვითგამორკვევისა სულ უფრო და უფრო ამოდის ზედაპირზე. იმისდა მიხედვით თუ როგორ მოვიქცევით ჩვენ აქ, დასავლეთის დემოკრატები, იქნება გადაწყვეტი კომუნისტური ქვეყნების დემოკრატიულ გზით წარმართვის საქმეში.“

ჩვენ კომუნისტური სისტემებისაგან მოვითხოვთ მხოლოდ განახორციელონ თავთავიანთი კონსტიტუცია, დარჩენენ ერთგულნი თავიანთი კანონებისა და შეასრულონ მათ მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

ჩვენ ვეძებთ მხოლოდ გზას, მიმართულებას, ძირითად კოდექსს წესიერებისას და არა დაუყოვნებლივ გარდაქმნას.

ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიცოდეთ, რომ თვით ჩვენი გამხნეების გარეშე ადგილი ჰქონდა და ექნება არა ერთ აჯანყებებს დიქტატურებში, რეპრესიების წინააღმდეგ.

მოქმედების ხაზი, რომელსაც მე ვაყენებ, უბრალოა: გამხნეება დემოკრატიის ინფრასტრუქტურისა, რაც დაეხმარება ხალხებს აირჩიონ საკუთარი გზა, რათა გაანვითარონ საკუთარი კულტურები და შეამცირონ თავიანთი განსხვავებულება მშვიდობიანი საშუალებებით.“ და ბოლოს, პრეზიდენტმა დასძინა: „დასავლეთის სამხედრო ძლიერება არის წინა პირობა მშვიდობიანობისა. ამავდ დროს ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკება გავმართოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან, როგორც საშუალო სიშორის ატომური შეიარაღების, ისე სტრატეგიული ატომური შეიარაღების თაობაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული თერმობირთვული ომი.“

*** * * * * *

ბ ა ქ ტ ე რ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ო მ ი ს ს ა შ ი შ რ ო ე ბ ა

ატომური ომის შიშმა ამ უკანასკნელ დროს თითქოს მიჩქმალა ქიმიური ომის საშიშროება, რომელიც არა ნაკლებ ამაზრუნენია და დამლუბველი კაცობრიობის მომავლისათვის. ქიმიურ ომს უფრო ძველი ისტორია აქვს, ვიდრე თერმობირთვულს. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო მგულადი გაზების დამზადება საომარი მიზნებისათვის. პირველ მსოფლიო ომში, თუმცა არა მასიურად, გამოყენებული იქნა ორივე მეთობარი მხარის მიერ მგულადი გაზები და მით გამოიწვეულ მსხვერპლთა რაოდენობას სამი მილიონი კაცით ანგარიშობენ. მის შემდეგ გაზებს მიემატა მასზე გაცილებით საშიში ბაქტერიოლოგიური იარაღი.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო მოლაპარაკება ქიმიური ომის აკრძალვის შესახებ და 1925 წლის ენევის პროტოკოლთ ერებმა ვალდებულება იკისრეს არასოდეს მიემართათ ქიმიური ომისათვის.

მართლაც მეორე მსოფლიო ომის დროს არც ერთ მეთობარ მხარეს არ მიუშარათავს ამ იარაღისათვის, თუმცა მუდამ არცდომბდა მისი გამოყენების საშიშროება, რადგანაც ყველა მეთობარ ქვეყანას ვააჩნდა მისი საკამო მარავი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გა.ო.ა-ში დაიწყო მოლაპარაკება ქიმიური ომის აკრძალვის შესახებ, რომელიც 1968 წლიდან ვაგრძელდა ენევისს და, რომ შეთანხმებას ჰქონებოდა მეტი შანსები, ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა გასცა ბრძანე-



ბა ამერიკის მთელი ბაქტერიოლოგიური იარაღის მოსპობისა 1975 წელში და მისი დამზადების ცენტრები გადაკეთებული იქმნა კიბოს საწინააღმდეგო საკვლეო-სამეცნიერო ლაბორატორიებად. ბევრმა ქვეყანამ მიზანა ამერიკის შ. შტატებს, მაგრამ, როგორც ირკვევა, მიუხედავად საჯარო განცხადებებისა, საბჭოთა კავშირი არა მარტო აგრძელებს მის დამზადებას, არამედ კიდევაც იყენებს ინდოჩინეთსა და ავღანისტანში.

საბჭოთა კავშირიდან მიღებული არაოფიციალური ცნობებით, ქიმიური იარაღის დამზადებაზე იქ მუშაობს 12 სხვადასხვა საწარმოო კომპლექსი, სამი ათასი მეცნიერი მუშაობს და ასი ათასი მუშახელით.

უკვე 1979 წელში გავრცელდა ხმები სვერდლოვსკის რაიონში მცხოვრებთა დიდი რაოდენობის საეჭვო დაავადებისა და სიკვდილის შესახებ. ამას მიაწერდენ ეპიდემიას, რომელიც თითქმის გავრცელდა ამ რაიონში არსებულ ბაქტერიოლოგიური იარაღის დიდ საწყობებიდან უბედური შემთხვევის შედეგად. საბჭოთა ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ჟარჯო და ამით მაშინ შეწყვეა კამათი, რადგანაც დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა სითანადო ნებისყოფა არ გამოიჩინეს.

ამ უქანასკნელად კი საბჭოთა კავშირს აშკარად ბრალს დებს ამერიკის მთავრობა. მაგალითად, ახალ ზელანდიაში ვიზიტის დროს ვიკე-პრეზიდენტმა ჟორჯ ბუშმა ქ. ველინგტონში განაცხადა: საბჭოთა ჯარები უკვე სამი წელია აწარმოებენ უხეშ ომს ავღანელი ხალხის წინააღმდეგ, ქიმიური იარაღით ჰკლავენ უდანაშაულო მოსახლეობას. ხოლო, საერთაშორისო საქმეთა მინისტრ გენერალ ჰეიგის მიერ ამერიკის კონგრესისადმი წარდგენილ №98 განსაკუთრებულ ცნობაში ნათქვამია, რომ 1978-81 წლებში საბჭოთა სატეიალურმა ნაწილებმა აწარმოეს ვაზუებით შეტევა კამბოჯში 124 ჯერ, ლაოსში 226 ჯერ და ავღანეთში 47 ჯერ. ამ ოპერაციების შედეგად დაიღუპა სულ ცოტა: ავღანეთში 3,000, ლაოსში 6,000 და კამბოჯაში 1,000 სული ადამიანი.

ასეთი სერიოზული და შემაშფოთებელი ცნობების შემდეგ გ.ე.ო.-ს მიერ შეიქმნა განსაკუთრებული საერთაშორისო კომისია საკითხის გამოსარკვევად.

გრიგოლ წერეთელი


მ ო კ ლ ე დ ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო დ ა ძ ა ბ უ ლ ო ბ ა ზ ე

მიმდინარე მომენტის საერთაშორისო მდგომარეობა ხასიათდება დიდი პოლიტიკური დაძაბულობით. თუმცა ამ სიტყვის ოფიციალურად ხმარებას ჯერ-ჯერობით გაურბიან, მაგრამ სინამდვილეში უკვე ორი წელიაა, რაც დასავლეთის დემოკრატიასა და აღმოსავლეთის კომუნისტურ შორის ცივი ომი სწარმოებს, რომლის ხელ ომად გადაქცევისათვის მხოლოდ ერთი ნაპერწკალია საკმარისი. ყოველი რეგიონალური ომი შეიძლება გახდეს ამ საბედისწერო ნაპერწკლად, რადგანაც ყველგან ანტაგონისტთა ერთ მხარეზე დგას საბჭოთა კავშირი, მიუპირდაპირე მხარეზე კი ამერიკა და დასავლეთი ევროპა.

ისრაელის ომი ლიბანში

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ტერორისტული აქტი ისრაელის ელჩზე ლონდონში გახდა ის უქანასკნელი წვეტი, რომელმაც ამ ომის სასწორი გადაწონა. ძლიერი საავიაციო დაბომბვის შემდეგ, 6 ივნისს ისრაელის ჯარებმა ლიბანის საზღვრები გადალახეს, გაანადგურეს სამხრეთ ლიბანში დაბანაკებული პალესტინელებისა და სირიის სამხედრო ძალები, ზედი-ზედ დაიკავეს იქ განლაგებული სამხედრო სიმაგრეები, მოსეს იქ განლაგებული საბჭოური შორს-მტყორცნი არტილერია, რომელთაც მუდმივ მუქარაში ყვდათ ისრაელის მიწა-წყალი, დაამსხვრიეს დიდძალი საბჭოური ავიაცია და ჯავშნოსნები, ლიბანიდან უკუაგდეს სირიის ჯარები, 11 ივნისს უკვე მოადგენ ბეირუთს, სადაც იმყოფება პ.გ.ო.(პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია) მთავარი პოლიტიკური და სამხედრო შტაბი. ამავე დღეს ისრაელის მთავრობამ სირიას ომის შეწყვეტა შესთავაზა, რაც დამსკუის მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღო.

სამხედრო ოპერაციების დაწყების პირველ დღეებში ჰფიქრობდნენ, რომ ისრაელი დაკმაყოფილებოდა სამხრეთ ლიბანის დარბევით 40-45 კმ-ს სიღრმეზე მისი საზღვრებიდან, მაგრამ შემდეგ გამოიჩნდა, რომ ისრაელის მიზნები უფრო შორს მიდიოდა, მას გადაწყვეტილი ჰქონე-



ბია პალესტინელ ტერორისტთა ან სრული ლიკვიდაცია, ან გაძევება მთელი ლიბანის მიხედვით ამ მიზნით ცაპალმა (ისრაელის მხედრობა) ალყა შემოარტყა ლიბანის დედაქალაქს და მისი სახდელისწერო დილემის წინ დააყენა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია: ან სამარცხვინო კაპიტულაცია, ან სრული განადგურება. ეკვი არ არის, რომ ცაპალს შესწევდა ძალა ბეირუთის ნანგრევებში დაესამარტებია მისი დაუთმებელი მტრები. არა მარტო კომუნისტურმა, არამედ, აგრეთვე მიუზმრობულ და დემოკრატიულ ქვეყნების მთავრობებმა დაგმეს ისრაელის მთავრობის მოქმედება და მოითხოვეს ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა ლიბანიდან. ერთდერტი ამერიკა შერჩა ისრაელს ერთგულ მოკავშირედ, მაგრამ მის მთავრობაში თითქოს ფარულად თავი იჩინა უთანხმოებამ. ამ მწვევე მსოფლიოს კრიზისულ მომენტებში მთავრობიდან გადადგა გენერალი ჰივი და პრევიდენტმა რეიგანმა დაუყოვნებლივ მის ადგილას დანიშნა, 25 ივნისს, ჟორჯ შულცი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი ნიქსონის მთავრობაში, ჯერ-ჯერობით აშკარა არ არის თუ რა შეიცვლება ამის გამო ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. ყოველ შემთხვევაში, რათა ამერიკის მთავრობის ემისარს ახლოდმოსავლეთში ბ. ფილიპ აბისს (წარმომხდომი ლიბანელი) მიეცეს დრო მიადწიოს შეთანხმებას ლიბანში, განსაკუთრებით დააჯეროს შ.გ.ო.-ს მეთაურობა განიარაღდეს და დასტოვოს ლიბანი, ისრაელმა დროებით შეაჩერა შეტევა ჰ. ბეირუთზე.

როცა ეს სტრიქონები იწერება შეთანხმება ჯერ კიდევ მიღწეული არ არის და შეუძლებელია იმის თქმა თუ როგორ განვითარდება ლიბანის ომი.

ეგრობის პრესა სხვადასხვა მოსაზრებით, მაგრამ თითქმის ერთხმად გმობს ამ ომის დაწყების გამო ჰეგინგენერალ შარონის მთავრობას, თუმცა მას გააჩნია სერიოზული მოსაზრებები ამ ისტერიული (ეს ტერმინი შეუსაბამოდ არ გვეჩვენება) ანტი-ისრაელური კამპანიისათვის, მაგრამ იმის უკან დაკვირვებულ თვალს არ შეიძლება გამოეპაროს საბჭოთა შენიღბული პროპაგანდის და არაბული პეტრო დოლარების ბატარაები, რომლებიც ამ შემთხვევისათვის შეთანხმებულად მოქმედებენ. ისრაელს უკუიხებენ ლიბანის სუვერენობის უფლებელყოფას. ვინც პარტიზანობით დაპყრობილი არ არის უნდა იცოდეს, რომ ლიბანი ერთიანი და სუვერენული სახელმწიფო აღარ არის უკვე 1970 წლიდან მოყოლებული, იგი ანტაგონისტური ეთნიური, რელიგიური და პოლიტიკური ჯგუფების მოზაიკაა, რომლებზედაც ცენტრალურ ხელისუფლებას არავითარი მორალური და პოლიტიკური გავლენა არა აქვს. ამ „სუვერენ“ ქვეყანაში თავის ნებაზე პარპაშობენ სირიისა და პალესტინელ ტერორისტთა ჯარები, რომლებმაც ეს ქვეყანა გადააქცია ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლის აგენაპოსტად. ლიბანელები არც ადრე ყოფილან ერთი ერი, მაგრამ მას შემდეგ, რაც პალესტინელებმა ლიბანში თავისუფალი მოქმედების ნება მიიღეს და ფაქტურად შექმნეს სახელმწიფო სახელმწიფოში, მათ შორის განსხვავებულობა მტრობად გადაიზარდა. სირიის ჯარების შეჭვანამ დამშვიდების მაგივრად მტრობა კიდევ უფრო გააღვივა და ძველ დაყოფას მიემატა ახალი: სირიის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეებისა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიბანის მიწა-წყალი გადაიქცა არა მარტო ისრაელის სახელმწიფოს საწინააღმდეგო სამხედრო და ტერორისტულ ბაზად, რამედ აგრეთვე მსოფლიო ტერორის ბანაკადაც. ვინც ღღეს გააფთრებით იცავს ლიბანის მოჩვენებით სუვერენობას და ისრაელს უკუიხენებს მის უპატივემლობას, ეს არ უნდა დაივიწყოს. ლიბანის სუვერენობა შეიძლება პატივცემულ-იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მის საზღვრებს დასტოვებენ მისთვის უცხო ყველა ჯარები, კერძოდ სირიის, პალესტინის და ისრაელისა. ამის შემდეგ ლიბანელებმა, გარედან ძალდატანების გარეშე, უნდა მოავგარონ შინაური ურთიერთობა და გადაწყვიტონ სურთ დარჩენ ერთ ეროვნულ სახელმწიფოში, ფედერაციაში თუ კონფედერაციაში. ისრაელის გეგმებიც ასეთი ჩანს. მაშ, ვისაც ლიბანის სუვერენობა ამოძრავებს, ის არ უნდა ცდილობდეს ისრაელის მხედრული გამარჯვება დიპლომატიურ დამარცხებად გადააქციოს.

ვინც ისრაელს ღღეს უკუიხებენ განუყოფელი და უხეში ომის წარმოებას, მას არ ესმის ომის წარმოების ელემენტარული კანონები. მთავართა მთავარი ომის მოგებაა, დანარჩენი დეტალებია. როცა ანგლო-საქსები გერმანიის ქალაქებს ბომბავდენ, ისინი არ არჩევენ ნაცისტებს უდანაშაულო ქალებისა და ბავშვებისაგან, მთავარი იყო მტრის გატეხა და გამარჯვება. ღღეს ისრაელი ბეირუთს ბომბავს, სადაც პალესტინელი ტერორისტები ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს ეფარებინან. თუ ისტორია ანგლო-საქსებს არ ჰკმობს, მე არ მესმის რატომ დან ისრაელი უნდა დაჰგმოს.

ჩვენ ყოველთვის არ ვიზიარებდით ბეგინის მთავრობის ღონისძიებებს ტერორიზმის საწინააღმდეგოდ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ისრაელის ავიაცია პალესტინელთა ბრმა ტერორისტებს ასევე განურჩეველი და ბრმა ტერორით პასუხობდა. თუ საერთოდ ბრმა ტერორი დასაგმობია ცივილიზებულ საზოგადოებისათვის, და ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაშინ სახელმწიფო ტერორი ათასჯერ უფრო დასაგმობია.

მაგრამ დღეს ისრაელის მოქმედება, მისი სახელმწიფოებრივი ინტერესებით სრულიად გამართლებულია. შეარჩია რა მისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობა, ბეგინის მთავრობა ცდილობს, ერთი დარტყმით და დიდი ხნით, თუ სამუდამოდ ვერა, მის სახელმწიფო საზღვრებიდან რაც შეიძლება შორს გადაარეკოს ისრაელის დაუძინებელი მტრები.

თვით ლიბანში ისრაელს ჰყავს მნიშვნელოვანი მოკავშირეები ქრისტიანების სახით, რომლებიც მასავით დაინტერესებული არიან სირიელებისა და პალესტინელების განდევნით. ამრიგად, ომის შემდეგ ლიბანის ნეიტრალიზა რეალური შესაძლებლობაა და არა ქიმიერა. ეს ამავე დროს ნიშნავს მშვიდობისაკენ წინსვლას. დაპარტყებული პალესტინელები და საერთოდ არაბობა უფრო ადვილად წავა ზავისა და მშვიდობიანი მორიგების გზაზე, ეს გზა კი კემპ-დევიდზე გადის. ისრაელმა უკვე დაამტკიცა, რომ ის პატეის სცემს მის მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. მაგალითად საკმარისია ის, რომ მან ბრძოლით დაპყრობილი სინაი უკან დაუბრუნა ეგვიპტეს. ვინც ერთსა და იმავე დროს ისრაელისა და არაბულ ქვეყნების მეგობარია, ის უნდა ცდილობდეს შეურთიბებელი არაბები დაითანხმოს დათანხმდენ მშვიდობიან მოლაპარაკებაზე ისრაელთან, როგორც ეს ერთ დროს მამაცურად გააკეთა ეგვიპტის პრეზიდენტმა ანუარ ელ სადათმა და ეს უნდა ხდებოდეს არა, როცა ქვეყნები ქუხან და ბომბები სკდებიან არამედ, როცა დროებითი სიმშვიდეა.

რა თქმა უნდა, ისრაელის მთავრობასაც მართებს ისეთი სულგრძელობის გამოჩენა, როგორც ბრძოლაში გამარჯვებულ რაინდს შეეფერება: დამარცხებულს, მიწაზე დაეცემულს წინხი აღარ უნდა ჩააზილოს. დღეს ბიბლიის დრო აღარ არის. დღეს ომები მარტო ბრძოლის ველზე არ იგება. გამარჯვება, რომ სტაბილური და ხანგრძლივი იყოს, საჭიროა მას მხარს უმთავრებდეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და განსაკუთრებით ახლო მეზობლების კეთილი განწყობილება. ისრაელის ახლო მეზობლები კი ყველა არაბებია. არაბების ფიზიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული წონა უზარმაზარია. არამც და არამც ისინი ხელში არ უნდა ჩუუვარდეს კრემლს. ამ მიზნით თუ ისრაელის გულწრფელი მეგობრები ისრაელის შესვეურებს ზომიერებისაკენ მოუწოდებენ ხოლმე, ამ უკანასკნელებმა ისინი მტრებად არ უნდა მიიჩნიონ და უხეშად ხელი არ უნდა ჰკრან.

ირან-ერაყის ომი

უკვე წელიწადნახევარია, რაც სისხლისმღვრელი ომი სწარმოებს ერაყსა და ირანს შორის. ერაყს და მისი მოკავშირე არაბი მეფე-ემირების გეგმები თითქოს უნაკლო იყენ: ხომეინის ისლამური ირანის რესპუბლიკა ანარქიასთან ბრძოლაში სულს ღაფავდა, ყოფილი შაჰის მძლავრი არმია დაშლილი და არა სანდო იყო თეირანის რეჟიმისათვის. მისი უმადლესი მეთაურობა, ვინც დაჭერასა და დახვრეტას გადაურჩა, საზღვარგარედ გამოიხიზნა. აზერბაიჯანელები, ქურთები და ხუზისტანის არაბები განმათავისუფლებელ, პარტიზანულ ომს აწარმოებდნენ. ასეთ პირობებში ერაყის არმიისათვის, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ არმიად იყო მიჩნეული ახლო აღმოსავლეთში, შეიარაღებული და გაწრთვნილი საბჭოების მიერ, ძნელი არ უნდა, მშფობიყო ირანის მხედრობის დამარცხება და ხომეინის მთავრობის დაშობა. სპარსეთის ადგილას, ერაყს გაბატონება სპარსეთის ყურეში, ომანის ზღვაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთის ტრანზიტის გამო და ხომეინის ისლამური რევოლუციის საშიშროებისაგან თავის დაზღვევა, ასეთი იყო მთავარი მიზეზები ამ ომის დაწყებისა.

პირველ დღეებში ომი თითქო გეგმის მიხედვით მიემართებოდა. ერაყის ჯარებმა წარმატებები მოიპოვეს, ირანის ტერიტორიაში შეიჭრენ, ხუზისტანის ნავთის მრეწველობის ქალაქები დაიკავეს. მაგრამ ირანმა მალე შეძლო ფრონტის შეკავება, პოზიციური ომიდან ამ უკანასკნელ დროს შეტევაზე გადავიდა, ერაყის ჯარებს დიდი ზარალი მიაყენა და თითქმის მთელი ეროვნული ტერიტორია უკანვე დაიბრუნა. სანამ გვიან არ იყო ერაყის ბაჰისის მთავრობამ ხომეინის ზავი შესთავაზა იმ მიზეზით, რომ საჭიროა ჩვენს საერთო მტერს ისრაელს ეყო-



მოთო, მაგრამ იმამ ხომეინი ამ დაგვიანებულ სამშვიდობო საინიციტივებს ყურს არ უდევდა, ის მოითხოვს ერაყის პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის და მისი მთავრობის ზარბაზნადგებულობას.

ირანის გაბატონება ერაყში დამლუპველი იქნებოდა საუღის არაბეთისა და ომანის ზღვის სავაზრობისათვის. კარგი დღე არ დაადგება არც ორდანიის მეფე ჰუსეინს, რომელიც აშკარად მხარს უჭერდა ერაყს და არც ამერიკას მისცემს ხელს მისი აშკარა მოწინააღმდეგე ფანატიური ირანის სრული გაბატონება ამ მსოფლიო სავაჭრო ნავთის მხარეში, რაც გვაგულისხმებს, რომ ეს ომი კი არ მთავრდება, არამედ უფრო გაძლიერების წინ იმყოფება.

პოლონეთი

დენტანტის პოლიტიკამ მარცხი განიცადა ავღანისტანში საბჭოთა ჯარების შეჭრით, ხოლო ცივი ომი განახლდა კომუნისტურ და დემოკრატიულ სამყაროს შორის, გასული წლის 13 დეკემბერს პოლონეთში მოწყობილი სამხედრო გადატრიალებისა და საომარი მდგომარეობის გამოცხადების მომენტებიდან.

მსკაცველი და პოლონელი შეთქმულები ალბათ იმედოვნებდნენ, რომ მოულოდნელი და სწრაფი მოქმედებით, დააბატონებდნენ რა მთელ ხელმძღვანელობას, რომლებიც წინასწარ იყვენ აღრიცხვაზე აჯვანილი, ადვილად და მალე დაიმორჩილებდნენ თავის ანაბარად დარჩენილ პოლონელ ხალხს, მაგრამ ექვსი თვის გასვლის შემდეგ მათი იმედები კიდევ არ მართლდება.

პოლონეთის საზოგადოებასა და მმართველებს შორის კავშირი გაწყვეტილია, თვით კომუნისტურ პარტიაში უთანხმოება და ურთიერთს შორის ბრძოლა გრძელდება და ის კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს სახელმწიფოს ხელმძღვანელობას, ხალხს ლაბარაკი აკრძალული აქვს. ის დუმს, მაგრამ ფიქრობს და გამოსავალს ეძებს და როგორც კი შემთხვევა ეძლევა მოითხოვს თავისუფლებას. პოლონელი ხალხი არ მიმართავს ტერორს, პარტიზანულ ომს, მაგრამ ის გადაწყვეტით აწარმოებს პასიურ წინააღმდეგობას და ის ამისთვის არ უშინდება უმცაყრამ რეაქციებს. ამ მხრივ განსაკუთრებით მღელვარე იყო მათის თვე. სამხედრო ხელისუფლება იმ მოინდომდა პირველი მისიზა ელდესასწაულებია და მსოფლიოსთვის ეჩვენებია მისი პოპულიარობა. დიდი პოლიტიური მზადების შემდეგ, მან გენერალ იარუზელსკის მეთაურობით ვარშავის ცენტრში მართლაც გამართა ოფიციალური პარადი და მიტინგი, მაგრამ პარადულურად ჩატარდა საწინააღმდეგო მანიფესტაცია, რომელშიდაც მონაწილეობდა 50 ათასზე მეტი, უმთავრესად ახალგაზრდობა. კონტრა-მანიფესტაცია შედიოდა სათის განმავლობაში გაგრძელდა და ის მოითხოვდა საომარი წესების გაუქმებას, 13 დეკემბრის წინ არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე დაბრუნებას, ყველა დაბატონებულთა განთავისუფლებას და სხვა. მანიფესტანტები გაიძახოდნენ: გაუმარჯოს „სოლიდარობას“, ძირს სამხედრო საბჭო! ანალოგიური მანიფესტაციები ჩატარდა პროვინციებში, განსაკუთრებით მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში: კრაკოვში, გდანსკში და სხვაგან.

3 მისი კიდევ უფრო მეტად მღელვარე მანიფესტაციები განმეორდა მთელ პოლონეთში, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა მრავალ შეხლა-შემოხლას მანიფესტანტებსა და წესრიგის ძალებს შორის. სამი მათის მანიფესტაციები „სოლიდარობის“ კავშირის ფარული ორგანიზაციის მოწოდებით ჩატარდა და ის აკრძალული იყო ხელისუფლების მიერ, მაგრამ ახალგაზრდობა აკრძალვას არ შეეპუა და ეკლესიებში პარაკლისის გადახდის შემდეგ ის ქუჩაში გამოვიდა დარაზმული, პატრიოტული და „სოლიდარობის“ სასარგებლო ლოზუნგებით. როგორც ცნობილია, სამი მათის წლისთავია პოლონეთის პირველი ლიბერალური კონსტიტუციის. 1791 წლის სამ მათის პოლონეთის დიეტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით პოლონეთი ზღვებდა კონსტიტუციონალურ მემკვიდრეობით სამეფოდ. ამ კონსტიტუციას განხორციელება არ ეწერა, რადგანაც ის ხელს არ აძლევდა რუსეთის მთავრობას. იმპერატორმა ეკატერინე მეორემ დიეტს მოსთხოვა კონსტიტუციის გაუქმება, რაც დიეტმა უეუაჯლო. მაშინ, რუსის ჯარები შეიჭრნენ პოლონეთში და მიუხედავად გმირული წინააღმდეგობისა, გასრისეს როგორც პოლონელი ხალხი ისე მისი კონსტიტუცია. პოლონეთი ამის შემდეგ მეორედ ორად გაიყვეს რუსებმა და პრუსიელებმა. გასაგებია, რომ ამ თარიღის მოგონება დღევანდელ კრემლის ხაზინებს არ ესაიამოვნებოდათ.

სამხედრო ხუნტის საწინააღმდეგო მანიფესტაციებმა კვლავ იფეთქეს, საომარი მდგომარე-

ობის გამოცხადების ექვსი თვის თავზე, 13 ივნისს. მიიფესტაციები განსაკუთრებით მეტწილად ვარე და ძლიერი იყვენ: ვარშავაში, კრაკოვში, ვროკლავში და ვდანსკში. მანინი, იანინი, სა და პოლიციას შორის შესხლა-შემოხლა, ხელჩართული ბრძოლები ისეთი ძლიერი იყო, რომ ხელისუფლებამაც ვეღარ დაფარა. ოფიციალური ცნობით ამ დღეს დააპატიმრეს 120 წესრიგის დამრღვევი, არა ოფიციალური ცნობით დაპატიმრებულთა რიცხვი ათასზე მეტი იყო.

ამრიგად, შეთქმულთა სახმედრო საბჭოს შექმნისა და საომარი მდგომარეობის გამოცხადების ექვსი თვის თავზე პოლიტიკური მდგომარეობა პოლონეთის სრულიად შებოკოი ჩანს, ხოლო ეკონომიური და საფინანსო კატასტროფული, რაც მძიმედება დასავლეთის ბოიკოტით.

კომუნისტურ ბლოკს, საბჭოთა კავშირის ჩათვლით, მიუხედავად ოფიციალური განცხადებებისა, მნიშვნელოვანი ეკონომიური და ფინანსიური დახმარება არ შეუძლია. პოლონეთისთვის აუცილებელია დასავლეთის გრძელვადიანი უმნიშვნელო სარგებლის სესხები, დასავლეთი კი სესხებისა და სახელმწიფო დახმარების პირობად მოითხოვს პოლონეთში 13 დეკემბრის წინ არსებული პოლიტიკური მდგომარეობის აღდგენას. ეს იარაღუნელსის მთავრობას არ შეუძლია და ჯერ-ჯერობით პოლონეთის კრიზისს დასასრული არ უჩანს.

ავღანისტანის ხაფანგი

საბჭოთა სტრატეგების ვარაული ავღანეთის მიმართ არ გამართლდა. ხალხის წინააღმდეგობა რამოდენიმე თვეში ვერ გატეხეს, მათი დაყენებული ბაბრაქ ქარმელის მთავრობა ვერ განამტკიცეს. შიგნით ავტორიტეტი ვერ შეუქნეს, გარედ აღიარება. ორი და ნახევარი წლის შემდეგაც ვერ ახერხებეს ბრენენვის კამარბოლა ავღანეთის ხაფანგიდან თავის დაღწევას, მაშინ, როცა ყველდღითურად უსაშველო ზარალს განიცდის ადამიანებისას, სამხედრო იარაღისას თუ სურათ-სანოვაგისას, რომელსაც ზედ ერთვის საერთაშორისო პრესტიჟის ზარალი.

საბჭოთა და კომუნისტურ ავღანეთის ჯარებს უკავით მხოლოდ დედაქალაქი, დიდი ქალაქები და ვაკეებში განლაგებული სტრატეგიული ადგილები. ამ დაკავებულ ადგილებიდან ავღანელები მასიურად გაიხიზნენ, ან იხიზნებიან პაკისტანსა და ირანში. მთავრობიანი ადგილები უმთავრესად პატრიოტების ხელშია, რომლებსაც საბჭოთა პროპაგანდა ბანდიტებს ეძახის. ეს „ბანდიტები“ არა მარტო მთებში იცავენ თავს წარმატებით, არამედ ბარშიაც და თვით დედაქალაქშიაც ესხმინა თავს ოკუპანტებს და მათ დიდ ზარალს აყენებენ.

გეოს ხიზნათა კომისარიატის და საერთაშორისო წითელი ჯვრის ცნობით, პაკისტანში იმყოფება ორი მილიონ ოთხასი ათასი ავღანელი ხიზანი. დაახლოებით მილიონამდეა ირანში. მარტო ეს ფაქტი მოწმობს თუ რა ტრაგედიას განიცდის ეს საცოდავი ხალხი, რომელთა რაოდენობას სულ 17 მილიონით ანგარიშობენ.

მაისში საბოლოოდ გაფორმდა ავღანეთის პატრიოტული პარტიების შეთანხმება და საერთო გამანათავისუფლებელი ფრონტის დაარსება, რომელსაც ეწოდება: **ავღანეთის მუჯაჰიდინთა ალიანსი**.

6 მაისს პარტიზანები თავს დასხენ ქაბულის პაერიდრომ, რომლის დროსაც მოიკლა თავდაცვის მინისტრ აბდულ კადერის შოფერი და სამი მცველი.

13 მაისს საბჭოთა-ავღანეთის მთავრობის შეერთებულმა ჯარებმა დიდი ძალებით შეუტეეს პანშირის ხეობას (90 - 100 კმ. დედაქალაქიდან), სადაც მათ დიდი წინააღმდეგობა და დიდი ზარალი განიცადეს. ისლამაბადიდან და ნიუ-დელიდან, ფრანს პრესისა და რეიტერის გადმოცემით, საბჭოთა ჯარებმა ამ ოპერაციებში დაჰკარგეს 700 მოკლული და 300 ტყვე ჯარისკაცი, 21 თვითმფრინავი და ვერტმფრენი და 40 ჯავშნოსანი. ესაა მეშვიდე ძლიერი შეტევა პანშირზე, რომელიც წარუმატებლად მთავრდება.

ავღანეთში ნაპოვი „უსაზღვრებო ექიმები“ აღშფოთებით გამოხენ საბჭოთა მხედრობის ტერორისტულ ომს. მათი განცხადებით, საბჭოთა ავიაცია პირწინადად სპობს სოფლებს, სადაც პარტიზანები ეგულებათ, განურჩევლად ბომბავენ ჰოსპიტლებსა და დისპანსერებს. მათივე განცხადებით: პაზარაფატი ვრცელი პროვინციაა, სადაც ცხოვრობს სამ მილიონზე მეტი შიიტი. ის მთლიანად პარტიზანულთა ხელშია და ვინაიდან საბჭოთა ჯარებს იქ ვერ შეუღწევიათ, მათი ავიაცია განუსწვებელი ბომბავს სოფლებს, რათა შიშის ზარი დასცეს მათ და მორალურად გასტეხოს.

ბოლოს, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო წითელმა ჯვარმა შვეიცარიაში განსაკუთრებული ბანაკი გამართა, ავღანეთში ტყვედ ჩავარდნილ ყოფილ წითელარმიელებისათვის.

ინგლის — არგენტინის ომი

მოულოდნელად, კაცობრიობა კიდევ ერთი ახალი ომის წინაშე აღმოჩნდა. ორ აპრილს არგენტინის ჯარებმა, დიპლომატიური დემარშებისა და ომის გამოცხადების ვარეშე, ისარგებლეს მოულოდნელობით, დაიმორჩილეს იქ მდგარი მცირერიცხოვანი ინგლისის გარნიზონი და დაეპატრონენ კუნძულებს, რომლებსაც ინგლისელები ფოლკლენდს უწოდებენ, ხოლო არგენტინელები მალვინას. სასწრაფოდ მოწვეულმა გეოს უშიშროების საბჭომ, 3 აპრილს დაგმო არგენტინის მოქმედება და მას მოსთხოვა დაუყოვნებლივ ჯარების გაყვანა კუნძულებიდან.

ინგლისის მთავრობამ სწრაფად და მეტიც გადაწყვიტა: თუ არგენტინის სამხედრო ხუნტა ნებით არ აასრულებდა გეოს-ის დადგენილებას, მაშინ მას ის ძალით აექუსებია. 5 აპრილს უკვე ინგლისის პორტებიდან ფოლკლენდისაკენ გავიდა ინგლისის სამხედრო არმია. სანამ ინგლისის გემები 14.000 კილომეტრს გაივლიდნენ და სადავო კუნძულებს მიუახლოვდებოდნენ, დიპლომატიას ჰქონდა დრო ინიციატივის მშვიდობიანად მოგვარებისა. მიუხედავად ამრიგის შ.შ. დიპლომატიის ნენერგიული შუამავლობისა, არაფრით არ მოხერხდა გენერალ ვალტიერის მთავრობის დათანხმება დაპყრობილ კუნძულებიდან ჯარების უკან გაყვანაზე და მით ფოლკლენდ-მალვინასთვის ომი აუცილებელი შეიქნა. რა თქმა უნდა გამარჯვება დარჩა ინგლისის მხედრობას. უკანასკნელად ქ. პორტ-სტანლუში გამაგრებულმა არგენტინის ჯარმა კაპიტულაცია მოახდინა და ომიც დამთავრდა, მაგრამ ფოლკლენდ-მალვინას კუთვნილების საკითხი ამით არ გადაჭრილა. უდავოა მსხვერპლი და ზარალი ორივე მებრძოლმა მხარემ განიცადა, ურომლისოდან ომი არ არსებობს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ინგლისის მხარემ ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი სამხედრო ოპერაციები, უაღრესად რთულ პირობებში, მეტროპოლიდან შვიდი ათასი საზღვაო მილით დაშორებულმა, მინიმალური მსხვერპლით, არა მარტო თავის მხრიდან, არამედ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალების დიდი დაზოგვითაც, აშკარად აჩვენა თავისი სამხედრო ორგანიზაციისა და ტექნიკის უპირატესობა.

ამ ომს შეეწირა ის, ვისი ინიციატივითაც ის დაიწყო- გენერალ ვალტიერის მთავრობა, რომელიც შეეცალა გადამდგარ გენერალ რენალდო ბინიონის მთავრობამ და, რომლის მემკვიდრეობაც შეტად მძიმეა. მან უნდა მოგვეგაროს არა მარტო ამ ომით გამოწვეული სიძნელებები, არამედ აგრეთვე არგენტინის კატასტროფიული ფინანსური და ეკონომიური მდგომარეობა და მას მისცეს დემოკრატიული წესწყობილება.

რაც შეეხება კითხვას: ვის ეკუთვნის სადავო კუნძულები? ჩვენ დავგმავიფილდებით მოკლე უდავო ისტორიული ცნობებით.


ფოლკლენდის არქიპელაგს სულ უკავია 16.835 კვ. კილომეტრი ფართობი, სადაც ცხოვრობს ორი ათასამდე ინგლისეები, რომელთაც სურთ დარჩენ ინგლისის ქვეშევრდომებად. კლიმატი არქტიკულია, არასტომატიზაციურად, მდებარეობს ატლანტის ოკეანის სამხრეთი. მისდევნენ მეცხვარეობას და მეთევზეობას, განსაკუთრებით გეშაპების რეწვას.

პიველად ეს უკაცრიელი არქიპელაგი აღმოაჩინა ინგლისელმა მეზღვაურმა ჯონ დავიმ 1592 წელს და 1690 წლიდან ინგლისელები მას უწოდებენ ფაკლენდს.

1764 წელს ფრანგი ლუი ანტუან ბუგენვილი, რომელიც სენ-მალოს კოლონებს მეთაურობს, აარსებს საფრანგეთის კონტაგის, უწოდებს მას მალურს და თავი მთელი არქიპელაგის მეპატრონე ჰგონია. ამას ნოჰჰვა ესპანეთის პროტესტი, რომელიც მას თავისად თვლის. 1767 წელს საფრანგეთი უთმობს ესპანეთს თავის უფლებას. მას ჰგონია ამით შეიძინა მთელი არქიპელაგი, რომელსაც ესპანურად მალვინა უწოდა. მაგრამ ინგლისელებს კაპიტან მაკ-ბრიდის მეთაურობით უკვე ერთი წლით ადრე დაუარსებიათ სტრატეგიული ბაზა პორტ ეგმონის სახელწოდებით.

1770 წელს ესპანელები აძევებენ ინგლისელებს, მაგრამ ისინი მალე უკანვე ბრუნდებიან და მხოლოდ შეთანხმების შემდეგ, 1774 წ. ნებაჟფლობით სტოვებენ თავიანთ ბაზას.

1816 წელს არგენტინა დამოუკიდებელი ქვეყანა ხდება და მას ბუნებრივად მიაჩნია, მემკვიდრეობით მალვინა მისი საკუთრებაა, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც მან მოახდინა 1829 წელს, მაგრამ, 1833 წელს, ინგლისის კორკეტი „კლიო“ მათ აძევებს იქიდან და მის შემდეგ ფოლკლენდს უწევდად ფლობს ინგლისი, თუმცა არგენტინა ამ ფაქტს არასოდეს არ შერიგებია.



ვლეთი ბერლინც გადავალაპოსო“ თქვა ფედ. გერმანიის ყოფილმა პრეზიდენტმა ჰაინცმახმსი, 1974 წელს დასავლეთ ბერლინში ყოფნის დროს.

„იღიდათ სასარგებლო იქნებოდა, რომ სიცოცხლეში ჩადენილ შეცდომებს, რომლებმოდანაც სწავლა შეიძლებოდა, რაც შეიძლება ადრე ჩავიდენდეთო“, ეს სიტყვებიც ჩერჩილს ეკუთვნის, მაგრამ მის მომდევნო თავისუფალ მსოფლიოს ხელმძღვანელებს მაინც არაფერი უსწავლიათ. ყოფილიყო თავისუფალი მსოფლიოს დემოკრატია ღირსეულ სიმაღლეზე, ვარშავის პაქტის სახელმწიფოები აღმოსავლეთ გერმანიის 1953 წლის მუშათა აჯანყებას სისხლის მორავში ვერ ჩააღრზობდნენ, უნგრეთის ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის ტანკებით ვერ ჩაჰკავადნენ და ჩეხოსლოვაკიის ანექსიასაც ვერ ვაბედავდნენ.

რუსეთის იმპერიალიზმის მიერ ვაყალბებულ მცნებებს: მშვიდობა, პროგრესი, დემოკრატია, კოეგზისტანცია, დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, უნდა ვიცნობდეთ, თუ გინდა მოსკოვის პაროლები და დიპლომატიური ნოტივე გავივთო. კრემლის ციხერი და მატყუარა საგარეო პოლიტიკის ვაგებმა დავგივარდეთა და სასიცოცხლო საშინაოშრობისაგან. არ უნდა დაგვადინოს თანაარსეზობისა და თანამშრომლობის ძილის წამალმა, რომლიდანაც ვამოღებდებ ადარ იქნება. დასავლეთი ავებულია თავისუფლების საფუძვლებზე, საბჭოთა რუსეთი ძალმობრობაზე. მეფის თვითმპყრობელობა რუსეთში შეცვალა საბჭოთა ტირანიამ, ვაცილებით მკაცრმა და უღმობელმა, მისი ნრობა არ იქნება.

მოსკოვის მხოლოდ მაგარი სიტყვა და ენერგიული მოქმედება ესმის, რომლის მოწმე არა ერთხელ ვყოფილვართ. ვავისენოთ თუგინდ 1948 წლის 321 დღის ბერლინის ბლოკადა, სადაც ამერიკის პრეზიდენტ ტრუმანის ბრძანებით, საჰაერო გზით ენერგიულმა ჩარევამ, საბჭოთა იმპერიალიზმს, ბერლინელებს შინშილ-სიცივით ამოწყვეტას ან დამორჩილებას რომ უპირობდა, სასტიკი მარცხი და სირცხვილი აქამა. იგივე ამერიკის პრეზიდენტ კენედის ულტიმატუმმა აიძულა ხრულშიგოი, 1962 წელს, კუბაში რაკეტების თითქმის დამთავრებული დანადგარების აღება და უკან წადება და მას ხელი ააღებინა კუბა ამერიკის საწინააღმდეგო ბაზაზე გადაექცია. თვით ისრაელისა და ეგვიპტის უკანასკნელ სამხედრო კონფლიქტში, კრემლის განზრახვას ბექტეროროლოგიური იარაღი გამოუყენებია და თავისი ჯარები ჩაება უშუალოდ ისრაელის წინააღმდეგ თუ განხორციელება არ ღირსებია, ამასაც ხომ ამერიკის მიერ კრემლის სერიოზულ გაფრთხილებას უნდა ვუმადლოდეთ.

ვაყოლოდა პრეზიდენტი კენედი გენერალ კლეისა და იმ დროს ბერლინში სტუმრად მყოფი საპრეზიდენტო კანდიდატის, სენატორ გოლდვატერის რჩევას, უღბრიხტი მოსკოვის წაქეზებით ვერასოდეს ვაბედავდა ბერლინის შუაგულში სამარცხინო კედლის აღმართვას 1961 წ. და რა ადვილი იყო მაშინ ამერიკისათვის, რომ მოსკოვის ხაზინებში ქეჟაზე მოეყვანა! ვარშავის პაქტის ქვეყნების სამხედრო ძლიერებას ხომ იდნათ წინ უსწრებდა და ატომური იარაღის ერთადერთი მფლობელიც იყო. ჰ. ფილბინგერი სინაულს ვამოთქვამს: „ამერიკამ თავისი მონოპოლია ბირთვულ იარაღის დარგში დროზედ არ გამოიყენაო.“ რასაკვირველია, ეს მარალა მისი გამოყენების აზრით არაა ნათქვამი, არამედ მუქარა საკმარისი იქნებოდა, რომ რუსეთი დაეჩოქებინა და მსოფლიოსათვის მშვიდათ ამოსუნთქვის სისხარული მიეცა.

პრადის ქუჩებში ჯერ კიდევ არ ვამშრალიყო მოსკოვის ჯარების მიერ დაღვრილი სისხლი, როცა ამერიკის მთავრობას ვერ ვავეთ თუ რა იყო მიზანი ფედ. გერმანიის სც-დემ. მთავრობის, რომელსაც ვ. ბრანტი მეთაურობდა, აღმოსავლეთის პოლიტიკის სრული შემობრუნებისა. დარწმუნდნენ რა მასში, თვით დაადგნენ სრულიად ახალ გზას და პრეზიდენტი ფორდი იქმედისაც კი მივიდა, რომ მთელ რიგ კომისიათა თავმჯდომარეებს მოუწოდა სწრაფად ვადავშინჯათ საგვარო კანონები, რომლებიც თავისი დისკრიმინელური მუხლებით ჯეროვანად ვერ აკმაყოფილებდნენ საბჭოთა კავშირს და სხვა კომუნისტურ ქვეყნებს „ფორდი აპირებს მაკორექტირებელ კანონმდებლობის ვამოხოვნას კონგრესისგან, საბ. კავშირისა და სხვა კომუნისტური ქვეყნებისათვის კრედიტების მიცემისა და გულუხვი ხელშეწყობის სტატუსის მინიქების შესახებო,“ წერდა ვაზ. „კომუნისტი“(12.07.75 წ.) ფორდი ცდილობს კონგრესი დაარწმუნოს, რომ მოსკოვის ყველა დანარჩენ ქვეყნებთან პრივილეგია უნდა მიენიჭოს. ასე და ამრიგად აღწვეს რუსეთი, დასავლეთ ევროპა - ამერიკის უღლუხვი დახმარებით, შეიარაღების პოტენციალის მუდმივ ზრდას და აგარარული პროლეტარის დიდი ნაწლის ამოვსებას.

ვამართდა ამერიკელი სენატორის თურმონდის მიერ ნათქვამი: „ფართო ეკონომიურ დახმარებას საბ. კავშირისადმი შეუძლია დასავლეთის თავდაცვის პოლიტიკაში საშინო შედეგების

მოტანაო.“ თურმონდის აზრს იზიარებდნენ ინგლისელებიც და ფედ. გერმანიის კოალიციური მთავრობის ოპოზიცია კი უფრო შორს მიდის, როცა ის მოსკოვ - დასავლეთ გერმანიის, მე-1 დრო ეკონომიურ - ტექნოლოგიურ - გრძელვადიან სესხებით თანამშრომლობაში და ისიც სრულიად ცალმხრივ თანამშრომლობაში, ღიდ საფრთხეს ხედავს. როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთო, ამბობდა ის, რომ „ნატოს“ და „ევროპის გაერთიანებული ბაზრის“ მიერ მრავალი წლის შეწყაითობით და გარჯით მოპოვებული მიღწევები რუსეთის ხელში არ აღმოჩნდესო, რაც იმედიდღველ იქცა!

რუსეთის პეკემონიისა და პრიმიტიული იმპერიალიზმის ინტრიგულ დიპლომატიას, შუღლის საგარეო პოლიტიკას თითქოს ვერ ხედავს თავისუფალი სამყარო. საგარეო პოლიტიკაში მოსკოვის რეკლამებით გააქვს თავი, პროპაგანდა და მხოლოდ ცარიელი პროპაგანდაა მათი ყვე-რალა პაროლები: ეროვნული თავისუფლება, ძმათა ერთობა, თანასწორობა, ყველაფერი ადამი-ანისათვის, ზედნიერება და კეთილდღეობა. მათ ეს სიტყვები მეფიროლა იაფფასიან ტრაფარეტ-ებზედ აქციეს და ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგეს. „მშვიდობიანი თანამშრომლობა“, „კოლექტიური უშიშროება“, „დაძაბულობის შენელება“, „საყოველთაო და სრული განიარაღება“, „ძალის გამოუყენლობა“ და სხვა ბრევენევის თაღლითობა და სიცრუეა, რომლითაც ის ეროგუ-ლად ეხმარება ლენინს, რომლის პრინციპი იყო, „სიცრუე და ტყუილი გამართლებას პოულ-ობს ქმედით ეფექტიანობაშიო.“

საიდუმლოებას არ შეადგენს თუ რა იმალება ავღანისტანის აგრესიის მიღმა, რომელიც ახლო-აღმოსავლეთის არა მარტო ნავთობს უმიზნებს, არამედ რუსეთის ზღვაზედ გასვლის გლო-ბალური სამხედრო სტრატეგიის მთავარი საფეხურიცაა. ავღანეთის ტრაგედიამ დაასამარა ბრე-ვენევის საერთაშორისო ავტორიტეტი და მისგან წარმოებულ საგარეო პოლიტიკას სამუდამო გა-შისვლება ელოდა, მაგრამ მას მფარველ ანგელოზად ფედ. გერმანიის სოც. პარტიის და სოცია-ლისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარე ვილი ბრანდტი მოველინა, რომელიც სტუმრად ეწვია მოსკოვში.

ბრევენევის უკანასკნელად გადმოსროლილ „მშვიდობიანობის“ ანკესზე მართლაც წამოვეგნ მე-მარცხენე ჯგუფები. გერმანიის დედაქალაქ ბონში ყოველ მხრიდან ჩამოსულ 350.000 ადამიანის მიტინგის ხელმძღვანელობა ხელში აიღო ფედ. გერმანიის სოც. დემ. პარტიის მემარცხენე ფრთის მთორე ვარნიტურმა და იმავე პარტიის პრეზიდენტის წევრი ჰებბლერი ჩინებულად ასრულე-ბდა მთავარი ორატორის როლს, რითაც მოსკოვში მგზავრობა დაიმსახურა. მემარცხენე ფრთად წოდებულნი, მოსკოვის იდეოლოგიურ თანამგზავრებზედ გადაქცეულნი, კომუნისტებთან ერთად, ყველი სახის დემონსტრაციას ანტიამერიკანულ ხასიათს აძლევენ და მშვიდობიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მომხრენი, თვალებს ხუჭავენ საბჭოთა პოლიტიკის სინამდვილეზე. ბონის დემონსტრაციას მოჰყვა ამსტერდამის, რომელიც მეექვსე იყო ევროპაში სამი თვის გან-მავლობაში, „პაიფისტების“ სახელწოდებით. აღსანიშნავია, რომ მემარცხენე ჯგუფები ამ დემ-ონსტრაციებში ქალებსა და ბავშვებსაც ითრევენ და ამით ამერიკის წინააღმდეგ მოსკოვის მიერ შემუშავებულ სცენარით დაკისრებულ როლს ასრულებენ. ისინი გაურბიან მოხსენიებას აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი საფრთხისას, რაც ბევრ რამეს აფიჭრებინებს ადამიანს.

ავღანეთის უღმობელმა ტრაგედიამ, ღღემდე 400.000 ავღანელი რომ იმსხვერპლა და 3 მილიონზე მეტს სამშობლო დაუკარვა, თავიდანვე შესძრა დემოკრატიული ქვეყნები და კრემლის ბატონები გამოუვლად მდგომარეობაში მოაქციეს, ჩქარი ტემპით მიემართებოდა რუსეთი სრულ იზოლიაციისაკენ, მაგრამ მას აქაც ბედმა გაუღიმა, დახმარების ხელს უწყდის მაშინ ჯერ კიდევ საფრანგეთის პრეზიდენტი, ჟისკარ დ'ესტენი რომელიც ვარშავაში ხვდება ბრევენეს, ხოლო შემდეგ ფედ. გერმანიის კანცლერი შმიდტი, საგარეო მინისტრ გერჩერთან ერთად, ეახ-ლა მას მოსკოვში, რითაც დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე შეჯერებულმა რომანტიკოსე-ბმა, თუ შიშით შეპყრობილებმა, კრემლის ბატონს სრული რეაბილიტაცია მოუხდინეს და ის რამოდენიმე კვირის შემდეგ, წარსული წლის მიწურულში ბონს ესტუმრა მშვიდობისა და თავისუფლების მისიონერად.

ავღანისტანთან ერთად ახლა პოლონეთიც იბრძვის კრემლის კლანჭებისაგან გასანთავისუფ-ლებლად. სასოწრკვეთილებამდე მისულმა პოლონელმა ხალხმა ვეღარ გაუძლო უმწყო პოლიტი-კურ და ეკონომიურ მდგომარეობას, სიღატაკეს და ქალბნა-ბავშვიანად ქუჩაში გამოვიდა, ხო-ლო ეკლესია, ეს მიწერი ინსტიტუტი, რომელიც დამპყრობთ არასოდეს არ დამორჩილებია და

პოლონელი ერის სიმბოლოდ იქცა, ცდილობს სისხლისღვრისაგან სამშობლო გადაარჩინოს. აქ განწეობებით გამომეღვანდა კომუნისტების სრული ვაკოტრება. არა მარტო პოლონეთში, არამედ დემოკრატიული ევროპის ყველა ქვეყნებში ძლიერ შემცირდა საბჭოთა ორიენტაციის მემარცხენე ჯგუფები. საფრანგეთში და იტალიაში, სადაც კომუნისტური პარტიები დიდ ძალებს წარმოადგენენ, პირველი სოციალიზმის განხორციელების ფრანგულ გზას ეძებს, ხოლო იტალიისამ ყოველგვარი კავშირი გაწყვეტა რუსეთის მომე პარტიასთან. ასევეა ესპანეთის კომპარტიაც.

დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებმა კარგად იციან, რომ პოლონეთში საომარი მდგომარეობის ინიციატორი კრემლია და ისიც იციან, რომ პოლონეთში გარდა მუდმივი რუსის ჯარის კონტინენტისა, კიდევ რვა თაისი სპეციალური ზედამხედველია პოლონური ჯარის ფორმაში, მოსკოვის ბრძანებას რომ ელოდება, მაგრამ დღემდე მაინც ვერ მორიგებულან და ამერიკის მიერ გამოცხადებულ სანქციებს რუსეთის მიმართ, გასული წლის 24 დეკემბრიდან ძალაში შესულს, პრაქტიკულად არ გამოხმაურებია.

ამერიკის პრეზიდენტმა სცადა კანცლერ შმიდტს უკან წაელო ციმბირ-ევროპის გაზის გარიგება ან მისი დროებით შეჩერება, მაგრამ უშედეგოდ. ასეთივე ამბავია საფრანგეთშიც, რომლის მთავრობამ სწორედ პოლონეთის კრიზისის პირველ დღეებში მოაწერა ხელი გაზის გარიგებას საბჭოთა ხელისუფლებასთან. ევროპის პარლამენტის უმრავლესობა ევროპა-ციმბირის გაზსადენის ხელშეკრულების გაუქმების მომხრეა, „ევროპის ერთობა“ კი ვადაწყვეტილებას სანქციებზე კრემლის მიმართ აპიანურებს, თათბირობს განუწყვეტლოვ, ამასობაში კი გენერალი იარუხელსკი, მოსკოვიდან ჩამოტანილი ინსტრუქციების თანახმად, ცდილობს დაასამაროს „სოლიდარობის“ მიერ მიღწეული დემოკრატიული რევოლუციები.

(გაგაძელება იხ. შემდეგ ნომერში)

დავით ვაშაძე
მარტი, 1982 წელი.

ძველი ქართული ხელოვნება პარიზში

პარიზის გამოფენათა დიდ სასახლეში 17 აპრილიდან 26 ივლისამდე მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ ძველი ქართული ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშს (122 ექსპონატი), სახელწოდებით: „საბჭოთა საქართველოს ძველი ხელოვნება“, „ოქროს საწმისის ქვეყანაში.“ არც სათაური და არც ქვესათაური არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც საბჭოთა საქართველოს იქ არაფერია, გამოფენა მთავრდება მე-18 საუკუნით, რაც შეეხება ოქროს საწმისის ქვეყანას, ის ნაწილი იყო ქრთველი ხალხით დასახლებული მიწა-წყლის და გამოფენაც ამ დიდ ქვეყანას მოიცავს. მაგრამ, მოდით, სახელწოდებისათვის ნუ ვიდავებთ, უფრო მეტი სადავო და დასავლობა იქ აქ სხვა რამეა. ქართველი ხალხის ისტორიის ზოგიერთი კარდინალური მომენტი, განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღმნიშვნელი, ვაკალბეგბულია, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს სიცრუე შემდეგ ზოგიერთმა ფრანგულმა პრესამაც გაიმეორა, პირველ რიგში კი საფრანგეთ-სსრკ საზოგადოების ყოველთვიურმა ორგანომ. მაგალითად, გამოფენის კატალოგის, რომელიც, უნდა ითქვას, ხარისხითაც ჩამორჩება სხვა, მაგალითად 1979 წლის უენევის ქართული ოქრომკვდლობის გამოფენის კატალოგს, ქრონოლოგიაში ვკითხულობთ: 1. 1650 წელი: იმერეთის მეფე შედის რუსეთის მეფის მფარველობაში. განა დახმარების თხოვნა მფარველობაში შესვლას ნიშნავს? და თუ მართლა ამ თარიღიდან იმერეთი რუსეთის მფარველობაში იყო, როგორ მოხდა, რომ მთელი ერთი საუკუნეზე მეტ ხანს ამის შემდეგ მას თურქეთი ფლო-



ხალასი ოქროს ლომის სტატუეტი კახეთიდან, 2.300 წელი ქსწ.



ოქროს თასი ძვირფასი ქვებით შემკული, თრიალეთიდან 1800 - 1500 წელი ქრისტეს წ.

ბდა. ანდა რა იურიდიულ დოკუმენტს ან რეალურ ფაქტს ეყრდნობა ეს ყურით მოთრეული „მფარველობა“? 2. „1769 - 72: რუსეთი თურქეთს აძევებს იმერეთიდან.“ ამ დროს იმერეთის ზოგიერთი ციხეები, თურქი ციხიონისაგან, იმერეთისა და რუსეთის ჯარებმა ერთად გაანათავისუფლეს, სადაც რუსის ერთი კორპუსი მონაწილეობდა, იმერეთის მეფეს კი 20.000 მხედარი გამოყავდა. რუსეთი იმ დროს ომს აწარმოებდა ოსმალეთთან, კავკასიიდან მეორე ფრონტის გახსნა მისთვის იყო უდიდესი შედეგითი. ამ მიზნით მოვიდა რუსის მცირეციხოვანი ჯარი და არა იმერეთის თურქეთის ბატონობისაგან განსათავისუფლებლად. როგორც კი რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია, ქუჩუკ-კაინაჯის ხელშეკრულებით თავისი პოზიციები განიმტკიცა ყუბანში, ყრიშში და დუნაის მიმართულებით, ხოლო იმერეთი ოსმალეთის გავლენის სფეროში მიატოვა და ამ შეთანხმების თანახმად, რუსეთმა იმერეთიდან და მთელი საქართველოდან ყველა ჯარები გაიყვანა. 3. „1795 წელი: სპარსელები დამარცხეს რუს-ქართველთა ლაშქარმა კარწანის ომში.“ უტიფართი და სამარტხინო ტყუილი უტოლინართა „ვასალიზაციის“ შედეგად ამაზე ლაპარაკის გავრძელება, ქართველი მკითხველისათვის, საჭიროდ არ მიმაჩნია. ამის შემდეგ და უკანასკნელად კატალოგის ქრონოლოგიაში დასახელებულია 1801 წლის 12 სექტემბერი, „ცარმა აღექანდრე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფო შეუერთა რუსეთს.“ ამით მთავრდება საქართველოს და ქართველი ხალხის ისტორიაც. ამით დაგვასამარეს პარიზის გამოფენის ორგანიზატორებმა, მაგრამ მათ ვინაზე ქართველი ხალხი არ მომკვდარა და მან ეს მსოფლიოს დაუმტკიცა, როცა, 1918 წლის 26 მაისს, რუსეთისაგან თავი განათავისუფლა და მაშინაც, როცა შემოსეულ საბჭოთა რუსეთის დამპყრობ ჯარებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. პირველი ბედნიერი თარიღი იყო, მეორე უბედური, მაგრამ ორივე დიდმნიშვნელოვანი ქართველი ერის ისტორიაში და მათი მოუხსენებლობა ყოველად გაუმართლებელია.


გამოფენის მომწივობი რუსები, რომ კეთილშობილი ხალხი ყოფილიყვენ, ამ სიყაბუბს არ ჩაიდინდენ, ხოლო გრომიკოს, დემიჩევს და საბჭოების ელჩს პარიზში, ჩერვონენკოს, გამოფენის საპატიო კომიტეტის წევრებს საბჭოების მხრიდან, რა რაინდობა უნდა მოვთხოვოთ. სამაგიეროდ: ჩვენი გულსწყრომა დამნაშავე ქართველებს მიმართ, რომლებიც ამ გამოფენის საორგანიზაციო კომიტ. წევრებია: კულტურის მინისტრი კომპოზიტორი **ოთარ თათაქაიშვილი**, გამოფენის სახეიმი გახსნაში მონაწილეობა მიიღო, **ზ. სანიკიძე**, მთავარი კომისარი, საქ. ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, **ლ. ქილოშვილი**, საქ. ისტორიის მუზეუმის დირექტორი და ქალბატონი **ელენე მეტრეველი**, ხელნაწერების ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი პასუხისმგებლები არიან ამ გამოფენის სიაყვარგისა. ჩვენი სირტხვილი და თავსლადფასხმა სწორედ ისაა, რომ ეს ჩვენი ქართველები თავიანთი ატორიტეტით ფარავენ, ჩვენი მპყრობელების თაღლითობასა და სიცრუეს.

უდავოა: ყოველ და ყოველგვარ მანიფესტაციას საბჭოთა რეჟიმი იყენებს რეჟიმის და საერთოდ რუსული ინტერესების სასარგებლოდ. აქ გასაკვირი და მოულოდნელი არაფერი არ არის. მაგრამ, ჩვენ ყველა ისინი, რომლებიც საქართველოდან მოდიან და საქართ. ეხებიან, ქართული საქმის სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ, უნდა ვცდილობდეთ ამ მანიფესტაციებთან დაკავშირებით მსოფლიო საზოგადოების სიმპათიები, რუსებისაგან პყრობულ, ქართველი ხალხის სასარგებლოდ განვაწყოთ. ჩვენც, ჩვენი სუსტი ძალები, შევეცადეთ ეს მისია შევეცხრულეთ: დაგბეჭდეთ ფრანგულად 2.500 ცალი მიმართვა და გამოფენის შესავალში დავარიგეთ, რომელშიც ძალიან მოკლედ აღვადგინეთ ისტორიული სიმართლე, აღვნიშნეთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და ვთხოვეთ კეთილი ენებებიათ, ვინც ამ ხელოვნების შემოქმედ ხალხს თანაუგრძნობდა, საორგანიზაციო კომიტეტისათვის გაეგზავნა საფოსტო ბარათი წარწერით: **გაუშარჯოს თავისუფალ საქართველოს!**

ამავე მიზნით, მაგრამ განსხვავებული ფორმით, პარიზის სათვისტომოს გამეგობამ წერილით მიმართა საერთაშორისო პრესასა და ორგანიზაციებს, საფრანგეთის მთავრობას, რომელსაც მოაგონებს საფრანგეთის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის წერილს, საფრანგეთის მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარის **ერიოსაიტი, 3** ივლისს, 1924 წელს. სამწუხაროდ ამ მიმართების ტექსტის უადგილობის გამო ვერ ვაქვეყნებთ.

გამოფენის დეტალურ გარჩევაზე აქ ადგილი აღარ გვრჩება, ვიტყვით მხოლოდ, რომ ბევრმა ფრანგმა ხელოვნებისმცოდნემ პრესაში აღნიშნა გამოფენილი საგნების ორიგინალობა, შესრულების დახვეწილობა და მაღალი გემოვნება, განსაკუთრებით მე-10-ე-მე-11-ე-მე-12-ე-მე-13-ე საუკუნეების ხელოვნებისა, რაც მოწმობს ქართველი ხალხის ხანგრძლივ რაფინირებულ

114/35



ცივილიზაციასო, ასეთმა შეფასებამ, არ შეიძლება სიამაყით არ აღგავცოს და იმედოვნებოდეს გავემტკიცოს ქართველი ხალხის მომავლისადმი.

*** **

თ.ტ.

პ ა რ ი ზ ი ს ს ა თ ვ ი ს ტ ო მ ო შ ი

სათვისტომოს გამგეობის არჩევნები

1. 9 მაისს პარიზში გაიმართა ქართული საზოგადოების საერთო კრება, რომელმაც მოისმინა თავმჯდომარის საანგარიშო მოხსენება. კრებამ განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და მაღლობა გადაუხადა უნგარო სამსახურისათვის ზ. ვიქტორ ხომერიკს.

ვინაიდან ბატონმა ვიქტორ ხომერიკმა მანდატის გაგრძელება აღარ ისურვა, კრებამ ერთხმად ახალ თავმჯდომარედ აირჩია ბ. თამაზ ნასყიდაშვილი, ხოლო გამგეობის წევრებად: ქ.ქ. ანიკ დავრიშაშვილი და ეთერი წერეთელი, ბ.ბ. ოთარ ამილახვარი, ანრი მაჰაჯარიანი, ოთარ პატარიძე, ტარიელ ლურდენ-ფაღავა, ნიკო ჰავეკავაძე და ტარიელ ზურაბიშვილი. გამგეობის შიგნით როლები შემდეგნაირად განაწილდა: თავმჯდომარის მოადგილეებად: ეთერი წერეთელი და ტარიელ ზურაბიშვილი, მოლარედ: ოთარ პატარიძე, მდივნებად: ანიკ დავრიშაშვილი და ოთარ ამილახვარი.

ანდა აღინიშნოს, რომ ეს პირველად სათვისტომოს იტორიაში, გამგეობის ყველა წევრი ემიგრაციაში დაბადებულ პირველი თაობაა, გარდა ტარიელ ლურდენ-ფაღავასი, რომელიც მეორე თაობა და პრეზიდენტ ნიკო ყორღანიას ბაიშისწვილი.

26 მაისის დღესასწაული

26 მაისამდე ახალ გამგეობას ბევრი დრო აღარ რჩებოდა, მარამ მიინც ყველაფრის ტრადიციულად ჩატარება მოხერხდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ქართველებმა ცოცხალ ვარდების გვირგვინით შევამკეთ საფრანგეთის უცნობი ჯარისკაცის საფლავი ეტულის თაღებს ქვეშ და იქ მუღმივი ცეცხლის ალი გავადღვიეთ, რომლის განმავლობაშიც ქართული და ფრანგული ეროვნული დროშები გვერდი-გვერდ ფრიალებდნენ. ამის შემდეგ წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნა პანაშვიდი ყველა მათ სადიდებლად, ვინც ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობაში შეიწირა. პანაშვიდის დაწყებამდის მოძღვარმა ილია მელიამ ამაღლებული მამულიშვილუ-სიტყვით მიმართა დაწვევით, ხოლო ყირვის დასასრულს გუნდმა აღგავაზნო ვაჟაკური მრავალქამიერით და დიდების ჰიმნით.

ერთი კვირის თავზე კი გაიმართა საზეიმო საღამო, პარიზის ჰაერო-კლუბის სალონებში, რომელმაც მეტად მხურვალე განწყობილებით ჩაიარა. ქართული და ფრანგული ეროვნული ჰიმნების შემდეგ, ახალმა თავმჯდომარემ, ბ. თამაზ ნასყიდაშვილმა მეტად მოწონებელი სიტყვით მიმართა დამსწრეთ, ჯერ მოკლედ ქართულად, შემდეგ გრძლად ფრანგულად. დამსწრე საზოგადოებამ დიდი ყურადღებით და მღელვარებით მოისმინა მომხსენებლის მიერ გახსენება ქართველი ხალხის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტების, ხალხისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არ წყვეტს ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მოვალეობას და როლს, რომელიც ჩვენი საზოგადოების წევრებს აკისრიათ გადმოხვეწილობაში. ამ მოხსენებამ გამოიწვია ნამდვილი ოვაცია, რომელმაც შემდეგ ტონი მისცა მთელ საღამოს.

ჩვენსავით რუსების მიერ პტობილი ერების წარმომადგენლების მისასალმებელი სიტყვების შემდეგ, გაგრძელდა თვითშემოქმედებითი არტისტული განყოფილება. ქართული ცეკვები და სიმღერები ერთმანეთს ცვლიდნენ: ახალგაზრდა თაობამ გვიჩვენა მისი ბრწყინვალე სილამაზე და ნიჭის ფერჩქნა. ელენე გელაშვილის მიერ მომზადებულმა გუნდმა: მარტინ და დოროთე მონესტიე-ხომერიკმა, ქეთევან და ნათელა დავრიშაშვილი, ანიკო, ელისო და მიშა ჰავეკავაძემ და მიშა ხახანაშვილიმა წარმოგვიდგინეს ოთხი ლამაზი ქართული ხალხური ცეკვა, ალექსია და სალომე კობახიძემ იცეკვეს ცოცხალი და მოხდენილი „ლიკური“, უფრო ადრე, სალომე კობახიძემ დიდი მღელვარებით წარმოთქვა პატრიოტული ლექსი, რა თქმა უნდა, ქართულად. ჯორა ჩხაიძემ, მისთვის ჩვეული ვირტუოზობით, შეასრულა დოლზე დაკვრის ნომერი და იცეკვა „მითიულური“. რაც შეეხება ჩვენს მომღერლებს, ისინი მხოლოდ ოთხი იყვნენ: ოთარ პატარიძე, გურამ ასათიანი, ოთარ ზურაბიშვილი, მიხეილ ვოდე-გოგოტიძე, —მაგრამ მათი მოსმენა

იყო ქემშარიტი სიამოვნება და მთელი დარბაზის აღფრთოვანება გამოიწვიეს. ამ შესანიშნავ ნაწარმოებებში, რომელსაც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, უნდა აღინიშნოს სწორედ სახელდახელო „ლუკური“: ფანტორის ხმაზე, რომელსაც ოთარ პატარიძე ასრულებდა, მოხდენილად გამოიჭრა ჩოხოსანი მიხეილ გოგიტიძე და საცეკვაოდ გაიწვია ნუნუა თაყაიშვილი-გორდელაძისა. შემდეგ საცეკვაო სიმღერაზე, თამაზ ნასყდაშვილმა გაშალა მკლავები, ჩამოუარა წრეზე და საცეკვაოდ გამოიწვია თინა პატარიძე-ყიფიანისა. ეს იყო ორი დაუფიწყარი და სიამოვნო მომენტი. მათ გვიჩვენეს, მიუხედავად სიმწიფის ასაკისა, რომ არაფერი დაუკარგავთ მათი 20 წლის ასაკის მოხდენილობასა და სიჩაუქებზე.

მე მგონია: ყველამ—ახალგაზრდამ თუ უფროსმა, ამ თავისი დასწრებით და ხელგაშლილობით, ან სადღესასწაულო საღამოს მოწყობის მოწოდებით, ან არტისტული შესრულებით,—გამოავლინა ურყევი ერთგულება ქართული საქმისადმი, და მით მთლიანად გამოეხმაურა თავმჯდომარისა და გამგეობის სურვილებს.

მოკლე ცნობები ჩვენს ახალ თავმჯდომარეზე

თამაზი დაიბადა პარიზის მე-14ე არონდისმანში, 1936 წლის 14 თებერვალს. მისივე თქმით, მამამისი, აწ განსვენებული მიშა ნასყდაშვილი, იყო ქართული, დედა, ქალბატონი ლიდა კორძაია მეგრელია. თამაზმა დაამთავრა საშუალო-ფილოსოფიის ბაკალორიით და ინგლისური ენის დიპლომით, ხოლო უმაღლესი განათლება მიიღო აღმოსავლურ ენების ეროვნულ სკოლაში და დიპლომი მიიღო პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის აღმოსავლეთის სკოლაში. ჰყავს ცოლი—ტერეზა და ორი გოგონა: 21 წლის ლილა და 13 წლის ნათელა. 16 წელიწადია, რაც ის განაგებს რამოდენიმე დიდ ამერიკულ და ფრანგულ სამრეწველო საზოგადოების კადრების შერჩევას და პროფესიულ ფორმაციას. პარალელურად ის მნათეა, 1977 წლიდან, ჩვენი ქართული წმინდანის სამრევლოსი და ადმინისტრაციის საბჭოს წევრია ქაქუბით დაავადებულთა ეროვნული კავშირის(უ.ი.ი.რ.), სადაც მას აღებული აქვს მზრუნველობა ისეთ ბავშვებზე, რომლებიც გაჭირვებულ სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებიან.


ეთერი წერეთელი

 + გიორგი ყაველაშვილი

გიორგი ყაველაშვილი დაიბადა ღვდღის ოჯახში, ქუთაისში, 1907 წლის 4 იანვარს, რომლის მშობიარობას თანგადაცვა დედამისი. ის გაზარდა ბიძა-ბიცოლაში, რომლებთანაც მან ბედნიერი ბავშვობა გაატარა. დედობრივი სიყვარულის ბუნებრივობამ მინც დაღი დაასვა მას მთელ სიცოცხლეში, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია ყოფილიყო ოპტიმისტი და მხიარული. გიორგი იყო თავდაბალი, ერთგული, პატიოსანი, მხნე და გულსხმიერი, მოყვარული მოყვასის, მაგრამ მას ყველაზე მეტად უყვარდა მისი სამშობლოსაქართველო. გვიან, უცხოეთში, ის შემთხვევას არ გაუშვებდა არ ელაპარაკა თავის მეგობრებთან საქართველოზე, რომელსაც ის „მარგალიტთა მარგალიტს“ უწოდებდა, მის ისტორიაზე, სილამაზეზე, ტრადიცია-ხენიჩვეულებებზე და უფრომოდ სწუხდა მის დაპყრობას რუსებისაგან.



გიორგიმ სამი წელი ისწავლა ქუთაისის უნივერსიტეტში, მაგრამ საბჭოთა რეჟიმი მისთვის აუტანელი იყო. თავისუფლების მოწყურებული ის სტოგებს ყველაფერს, სტოგებს ფარულად საქართველოს 1927 წელს მის რამდენიმე მეგობართან ერთად, მათ შორის: მ. გავრიანიშვილი, ა. კანკავა, ვ. ბარკალია, მ. ცაგარელი, ფეხით გადასერავენ ანატოლიის მთებს, ჩაგორიან კონსტანტინეპოლში, სიდანაც მრავალი დაბრკოლებების მერე უერთდებიან ქართულ კოლონიას პარიზში. საფრანგეთში ის ვერ მოახერხებს ცხოვრების უფლებას და 1933 წელში ის მიდის ბრიუსელში, სადაც ელლა წერეთლისა და დავით ბერიკაშვილის დახმარებით ეღებულობს ბელგიაში ცხოვრების უფლებას და საინტერესო სამსახურს ბელგიის კონგოში, სადაც მან დაძჳა 1960 წლამდე. იგრძნო რა ამ დროს საბჭოების გაგეგნა აფრიკაში, სამსახურის ვინც დამთავრებამდე სტოგებს კონგოს, სადაც ჰკარავს ყველაფერს და ბრუნდება ბრიუსელში. 54 წლის ასაკში ის ნულიდან იწყებს ახალ ცხოვრებას და დიდი ენერჯისა და მუყათობის შედეგად კვლავ მოიპოვებს ადგილს მზის ქვეშ, როცა მამაზეციერი მოუწოდებს თავისთან, ამა წლის



21 აპრილს, ხოლო მისი ძვირფასი ცხედარი მიბარდა ბრიუსელის დ'იქსელეს სასაფლაოზე საუკონო იყოს კეთილი ხსენება მისი.

უახლოესი მეგობარი

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

ა.წ. 3 აპრილს ღრმა მოხუცებაში გარდაიცვალა აპალონ ორაგველიძე, 29 აპრილს მიბარდა ლევილის ქართულ სასაფლაოს.

ა.წ. 21 აპრილს ბრიუსელში გარდაიცვალა გიორგი ყაველაშვილი და 27-ში მისი ცხედარი მიბარეს ბრიუსელის დ'იქსელეს სასაფლაოს.

ა.წ. 26 მაისს პარიზის საავადმყოფოში გარდაიცვალა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის შვი-ცულიალექსანდრე ბადურაშვილი, 9 ივნისს მისი ცხედარი მიბარეს ლევილის სასაფლაოს.

ქ. მიუნხენში გარდაიცვალა ექიმი გიორგი ვეფხვაძე, 8 ივნისს დასაფლავდა ადგილობრივად.

შვილი ვლადიმირი გვთხოვს გამოეცხადოთ: „1982 წლის 10 ივნისს, ლევილის ქართულ სასაფლაოში დაიკრძალა დიმიტრი ცხონდია, დაბადებული სამეგრელოში 1903 წელს. ის მის უკან სტოვებს მეუღლე მანიას და მის ვაჟიშვილს ვლადიმირს, აგრეთვე მთელ მის შთამომავლობას საქართველოში.“

ა.წ. 19 ივნისს BREUILLY s/Claise, ენდრისა და ლუარის დეპარტამენტი საფრანგეთში, გარდაიცვალა აკაკი ჩიხლაძე, 22-ში დასაფლავდა ადგილობრივად.

და სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო კირისუფლებს.

ჩ ე ნ ი ფ ო ნ დ ი (ფრანგულ ფრანკებში)

ნიკოლა ანთაძე	100.	მართა სტურუა	50-
სანდრო ფანჩულიძე	100-	ალექსანდრე მანველიშვილი	250-
მამია ზაქარაძე	152-	ვანო მაჩაბელი	100-
ბონდო კეკელია	304-	დავით ბებიაშვილი	548-
ზოსიმე ჯიშკარიანი	200-	ვალია კელია	150-
შოთა ბერეჟიანი	100-	გერასიმე ბოლქვაძე	250-
ქრისტეფორე იმნაიშვილი	100-	ნიკო ბელეაძე	100-
მარგარიტ შენგელია	100-	გიორგი მეგობრიშვილი	500-
ისიდორე გაჟონია	279-	ვარლამ ანთელავა	200-
კარლო გვარჯალაძე	219-	დანიელ ისრაელაშვილი	200-
ანემარი და დავით ვაშაძე	600-	ილია კუჭუხიძე	276-
ელენე მგალობლიშვილი	100-	შალვა ცინცაძე	290-
თამარ მუსხელიშვილი	100-	მელიტონ ჟენტი	150-
გიორგი ათასიძე	100-	რაფიელ ჯაში	200-
პროკოფი ინწკირველი	100-	გრიგოლ წერეთელი	100-
აკაკი გამსახურდია	50-	ეთერი წერეთელი	500-

ჯ ა მ ი

6.568

განცხადება: ალექსანდრე ბადურაშვილის ნეკროლოგი, ბ. ელიზბარ მაყაშვილის და ბერკ სხვა საყრადღებო მასალა ადგილის უქონლობის გამო შემდეგ ნომრისთვის გადავდევით.

LA LOI DU PLUS FORT ...



Il ira fleurir - le Tzar Rouge - fleurir la tombe du SOLDAT INCONNU que LÉNINE AVAIT TRAHİ à BREST-LITOVSK... Il mangera et boira à l'ELYSEE, et couchera au Grand Trianon, le Conquérant de Prague I.

Serait-ce une fable de la Nouvelle Société Occidentale ?.

Alors que le petit ISRAEL est sans cesse sommé d'évacuer le territoire désertique qu'il a occupé suite à une guerre qui lui a été imposée, et qui menaçait son Existence même.

AUCUNE des Puissances Occidentales n'a JAMAIS osé inviter la RUSSIE à évacuer les 20 pays qu'elle a agressés et occupés, et qu'elle tient sous son joug colonialiste, et exploite sans merci, usant de déportations et de répressions sanglantes.

L'AGNEAU est oublié - LE LOUP est à l'Honneur...

MAIS VOUS FRANÇAIS, souvenez-vous de JAN PALLACH et des Millions de VICTIMES de l'IMPÉRIALISME RUSSE.

EXIGEZ que les Troupes et les Bases offensives Russes soient évacuées de : Tchécoslovaquie, Hongrie, Ukraine, Géorgie, Pologne, Pays-Baltes, Biélorussie, Roumanie, Bulgarie, Arménie, Azerbeïdjan et des cinq Républiques Musulmanes du Turkestan.

Faites respecter les Droits de l'Homme.

Faites cesser le colonialisme de l'Est.

Liberté - Egalité - Fraternité - Paix dans la Justice